F166 №759

F 8/169

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 20 კაპ.

სალიტერატურო გაზეთი

1932 27 ნოემბერი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გაზეთი

№ 25

საბჭოთა ლიტერატურა ოქტომბრის 15 წლის თავზე

ამხ. ვ. კირპოტინის მოხსენება საბჭოთა მწერლების საკავშირო ორგკომიტეტის პლენუმზე*)

ოქტომბრის 15 წლის თავზე ჩვენ თამამად შეგვიძლია ვილაპარაკოთ საბჭოთა ლიტერატურის მსოფლიო მნიშვნელობაზე.

თავისი იდეურ-მხატვრული ღირებულებით იგი პირველ ლიტერატურას წარმოადგენს მთელს მსოფლიოში. მისკენ მიისწრაფის ყველაფერი ის, რაც ჯანსაღი და სიცოცხლის უნარიანია დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნების ლიტერატურაში.

გაუგონარ წინსვლას და წარმატებას განიცდის მოკავშირე რესპუბლიკების მოძმე ხალხთა ლიტერატურა. ამ რესპუბლიკებში იზრდება და მტკიცდება ლიტერატურა ნაციონალური თავისი ფორმით, სოციალისტური თავის შინაარსით. აქ ამ თათბირზე გამოვლენ მოკავშირე რესპუბლიკების მწერალთა დელეგაციების წარმომადგენელნი, რომლებიც გაგვაცნობენ ეროვნულ ლიტერატურების მიერ მოპოვებულ მიღწევებს და დაახასიათებენ საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურის წინაშე წამოჭრილ ამოცანებს. აქ მე მსურს ხაზი გაუსვა იმას, რომ საბჭოთა ლიტერატურის რიცხობრივი და ხარისხობრივი ზრდა, რომელზედაც ლაპარაკობს ცენტრალ. კომიტეტის 23 აპრილის დადგენილება, შეეხება მთელი საბჭოთა კავშირის ლიტერატურას.

არასოდეს საბჭოთა კავშირში ლიტერატურას ჯერ არ განუცდია გარდაქმნის ისეთი ინტენსიური პროცესი, როგორსაც ის განიცდის უკანასკნელ პერიოდში,—ოქტომბრის მე-15 წლისთავის წინა თვეებში. საქმე შეეხება არა მარტო ლიტერატურული საზოგადოებრიობის ფორმების გარდაქმნას. ორგანიზაციული გარდაქმნა მხოლოდ შედეგია იმ ღრმა არსებითი პროცესებისა ლიტერატურაში, რომელიც მოჰყვა ღრმა არსებით პროცესებს ეკონომიკასა და პოლიტიკაში.

მარქსი „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის" შესავალში ამბობს, რომ რევოლიუციის შემდეგ პოლიტიკური ზედნაშენის შეცვლისთანავე სახეშეცვლილ ბაზისს თანდათან გაუსწორდებიან, გაუთანაბრდებიან და ნარჩენი ზედნაშენებიც.

ლიტერატურის დარგში ამჟამად ჩვენ ვიმყოფებით სწორედ მთავარ ზედნაშენთან ასეთ გასწორების სტადიაში.

მაგრამ ეს გასწორება არ ხდება ავტომატიურად, თვითმდინარეობით. ეს პროცესი მიმდინარეობს კლასობრივი ბრძოლის გავლენით და მისივე მეოხებით, პოლიტიკის ძლიერი ზეგავლენით. ამ გასწორების პროცესში მოპოვებული გადამწყვეტი წარმატება არის პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვების შედეგი, მთელს მსოფლიოში კაპიტალიზმის დაღუპვის აუცილებლობის შეგნების შედეგი.

ჩვენი ლიტერატურის სოციალისტური გარდაქმნის საქმეში მიღწეული გადამწყვეტი წარმატება მოპოვებულია საბჭოთა მწერლების უმრავლესობის საბჭოთა ხელისუფლებისაკენ შემობრუნებით და პროლეტარიატის საკუთარი კადრების ზრდით მწერლობაში. ყველაფერი ეს ნათქვამია ცენტრალური კომიტეტის 23 აპრილის დადგენილებაში.

ეს შემობრუნება საბჭოთა ხელისუფლებისაკენ, ეს ძვრა ლიტერატურაში, სალიტერატურო ორგანიზაციების გარდაქმნა შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ გვქონოდა მუშათა კლასის რიგებიდან და ნაწილობრივ საკოლმეურნეო გლეხობიდან გამოსულ მწერალთა კადრების ზრდა, რომ არ ყოფილიყო პროლეტარული ლიტერატურის იდეურ-ხელმძღვანელი როლი.

პროლეტარული ლიტერატურის ახალმა კადრებმა მოიტანეს მსოფლმხედველობის შინაარსის, მხატვრული აზროვნების სიახლე, მუშათა კლასის იდეოლოგიის თვალსაზრისით სინამდვილის მხატვრული გამოსახვის სიახლე. როცა მე ვლაპარაკობ ახალი შინაარსის მნიშვნელობაზე, მე უგულებელს არ ვყოფ ფორმის პრობლემას. მე ამას შემდეგ შევეხები, მაგრამ აქ მე მინდ ხაზი გავუსვა, რომ ყველაზე ძნელი და ყველაზე ნაყოფიერი სიახლე („ნოვატორობა") ლიტერატურაში არის შინაარსის სიახლე. ჩვენი ბრძოლისა და ჩვენი სინამდვილის მხატვრული ათვისება მწერლებისა და მხატვრებისათვის გადაიქცა ჩამგონებელ ძალად. პროლეტარიატის დიდი რევოლიუციის მხატვრულმა ასახვამ გაუადვილა უპარტიო საბჭოთა მწერლებს ის შემობრუნება, რომელზედაც ლაპარაკია ცენტრალური კომიტეტის 23 აპრილის დადგენილებაში. ამ შემობრუნების მამოძრავებელი ძალა,—კლასობრივი ბრძოლაა, ჩვენს ქვეყანაში მომხდარი კლასობრივი ძვრები.

ამხ. სტალინმა თავის სიტყვაში „ახალი ვითარება—ახალი ამოცანები" თვალსაჩინოთ დაგვანახა მთლიანად მთელი ინტელიგენციის შემობრუნება, გაგვიმარტა ამის მიზეზები, დაგვისახა მუშაობის ფორმების გარდაქმნის ამოცანა ჩვენს სფეროში—ლიტერატურულ სფეროშიაც.

ახალ რთულ ვითარებაში—საბჭოთა მწერლობის უმრავლესობის შემობრუნების, პროლეტარულ და კოლმეურნე მწერალთა კადრების ზრდის, ახალი მწერლების წინ წამოწევის პირობებში,—იმ პირობებში, როცა კლასობრივ ძალთა განწყობილება ლიტერატურაში შეიცვალა ჩვენს სასარგებლოდ, ლიტერატურული ცხოვრების ძველი ფორმები უკვე უვარგისი შეიქნენ. 8—9 წლის წინად, როცა პროლეტარული ლიტერატურა ჯერ კიდევ ზრდის პირველ სტადიაში იმყოფებოდა, როცა პარტიის მხრით საჭირო იყო მისი დახმარება და მისთვის ხელისშეწყობა, ჩამოყალიბდა რუსეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია. „რაპპ", მაგრამ, რაც წინად ნაყოფიერი და გონივრული იყო, დღევანდელ ვითარებაში შეუფერებელი გამოდგა. უკვე ორი წელიწადია, რაც „რაპპ"-ის მუშაობაში მეტად შესამჩნევი გახდა თანამედროვე პოლიტიკურ ამოცანებისაგან მოწყვეტის საშიშროება, საბჭოთა მწერლების ძირითად კადრებისაგან გამოყოფისა და გამოცალკავების საშიშროება. ამ ჯგუფობრიობას აღრმავებდა „ნაპოსტოველთა" ჯგუფის მონოპოლიური მდგომარეობა, ეს ჯგუფობრიობა და „ნაპოსტოველთა" ჯგუფის მონოპოლიური მდგომარეობა უკვე აფერხებდენ ლიტერატურულ შემოქმედებას.

ჯგუფური მოსაზრებით მწერალთა ერთ გუნდს მეტად აქებდენ და ადიდებდენ, ხოლო მწერალთა მეორე ჯგუფზე სდუმდენ, არაფერს ამბობდენ.

„რაპპი"-ს საფუძვლიანი გარდაქმნა მისი არსებობის უკანასკნელ ხანებში აუცილებელი გახდა.

მსოფლმხედველობა და მეთოდი

ამჟამად ჩვენ ვიმყოფებით საბჭოთა მწერლების ერთიანი კავშირის შექმნის სტადიაში. საბჭოთა მწერლების ერთიანი კავშირის შექმნა ოდნავადაც არ ამცირებს პროლეტარულ მწერლების, კომუნისტ-მწერლების იდეურ ხელმძღვანელ როლს, პირიქით, ადმინისტრატორობის უკუ გდება, ბრძანებლობაზე ხელის აღება ჰქმნიან ნამდვილ პირობებს ამ იდეურ ხელმძღვანელობისათვის, ჰქმნიან მწერლებში საბჭოთა ლიტერატურის კომუნისტური ფრთისადმი ნდობის ატმოსფეროს.

ჩვენ მოვალე ვართ გულმოდგინეთ ვადევნოთ თვალყური, რომ არ განმეორდეს ჯგუფობრიობის რეციდივები, რომ ისევ არ წარმოიშვას ახალი ჯგუფობრიობა, ყოველგვარ ჯგუფობრიობას ჩვენ სასტიკად უნდა შევუტიოთ, რადგან ჯგუფობრიობას თან სდევს თანამედროვეობის პოლიტიკური ამოცანებისაგან გარიყვა და საბჭოთა ლიტერატურის იმ დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობის მიჩქმალვა, რომელიც მას აქვს უკლასო საზოგადოებრიობის შექმნის პროცესში, მაგრამ ამისათვის, პირველ ყოვლისა, საჭიროა მონოპოლიური ჯგუფის შეცდომების გაკრიტიკება.



საბჭოთა პირობებში, სოციალისტურ სახელმწიფოში ჩვენ შეგვიძლია განვახორციელოთ ხელოვნების ის იდეალი, რომლის შესახებაც ენგელსი სწერდა ლასალს: „იმ დიდი იდეური სიღრმის, იმ შეცნობილ ისტორიული შინაარსის შეთავსება, რომელსაც თქვენ სამართლიანად მიაწერთ გერმანულ დრამას, მოქმედების შექსპირისებურ ცხოველმყოფელობასა და სიუხვესთან, ალბად მიღწეული იქნება მომავალში და შეიძლება ეს მიღწეული იქნეს სრულიად არა გერმანელების მიერ. სწორედ აქ შეთავსებაში ვხედავ მე დრამის მომავალს".

მაგრამ იმისათვის, რომ მივაღწიოთ დიდი იდეური სიღრმის სრულ შეთვისებას მოქმედების შექსპირისებურ ცხოველმყოფელობასა და სიუხვესთან, არ შეიძლება გავამარტივოთ ლიტერატურის საქმე. ლიტერატურას უნდა მოვეკიდოთ, როგორც ლიტერატურას. არა მარტო გამოვამჟღავნოთ ნაწარმოების სოციალური აზრი და იდეური შინაარსი, არამედ უნდა ვიზრუნოთ მისი მხატვრული ღირსებისათვის, მისი კომპოზიციისა და ფორმის ოსტატობისათვის. საამისოდ ჩვენ უკვე საკმარისად მოვიწიფეთ.

„ჩვენი ხალხი, როგორც ამბობდა ლენინი, ღირსია არა სანახაობის, არამედ ნამდვილი დიდი ხელოვნების, ე. ი. ხელოვნების, რომელიც მდიდარია თავისი შინაარსით და მშვენიერი თავისი ფორმით".

წერილი „რაპპ"-ში შემოქმედებითი დისკუსიის გაშლის შესახებ ემყარებოდა „დიალექტიურ-მატერიალისტური შემოქმედებითი მეთოდის" ლოზუნგს. ამ წერილში ნათქვამი იყო: „ნაპოსტოველობამ" პირველად დასვა საკითხი პროლეტარულ ლიტერატურაში დიალექტიურ მატერიალისტური მხატვრული მეთოდის შესახებ. „ნაპოსტოველების" ვერც ერთის შემოქმედებით ლოზუნგს ვერ ჩამოვაშორებთ ამ ძირითად და გადამწყვეტ გამოსავალ პუნქტს: „ყველა დანარჩენი ლოზუნგები წარმოადგენენ საფეხურებს პროლეტ ლიტერატურის დიალექტიურ მატერიალისტური მეთოდის დაპყრობის გზაზე".

მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ „დიალექტიურ მატერიალისტური შემოქმედებითი ლოზუნგი" გამდაბიურებულ ლოზუნგს წარმოადგენს. რატომ? განა ჩვენ, განა ორგკომიტეტი დიალექტიურ მატერიალიზმის წინააღმდეგია? არა, არავითარ შემთხვევაში, კრიტიკა შეიძლება იქნეს ნაყოფიერი და ცხოველმყოფელი, თუ იგი დაეყრდნობა დიალექტიურ მატერიალიზმის მეთოდს, თუ იგი ისე, როგორც მთელი ჩვენი საზოგადოებრივი მეცნიერება, იქნება მარქსისტულ-ლენინური.

ამ დებულების რევიზიას ჩვენ ვუწევდით და შემდეგშიაც გაუწევთ წინააღმდეგობას.

შემდეგ, რამდენათ უფრო ღრმათ, რამდენათ უფრო სწორად მხატვარი თავის ნაწარმოებში ასახავს სინამდვილის არსებით მხარეს, მისი განვითარების პერსპექტივებს და ტენდენციას, იმდენათ მის ნაწარმოებში მეტი იქნება დიალექტიკისა და მატერიალიზმის ელემენტები.

წარსულშიაც ასე იყო: გოეტე და შექსპირი—ეს ისეთი მხატვრები არიან, რომელთა შემოქმედებიდან ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ მრავალი ილუსტრაცია იმის გასამართავად და ასახსნელად, თუ რას წარმოადგენს დიალექტიური მეთოდი. მხატვარი დამოკიდებულია თავის მსოფლმხედველობაზე, რომელიც არასოდეს არ არის ერთეულის მსოფლმხედველობა, არამედ არის მთელი ჯგუფის, მთელი კლასის მსოფლმხედველობა განსაზღვრულ ისტორიულ პირობებში. ჩვენ ვიცავთ დიალექტიურ მატერიალისტურ ხელოვნებას, მიუხედავათ ამისა, „დიალექტიურ მატერიალისტურ მეთოდის" ლოზუნგი არის არა სწორი, უმართებულო ლოზუნგი.

იგი მხატვრული შემოქმედების კავშირს და დამოკიდებულებას იდეოლოგიისაგან, მხატვრის რთულ დამოკიდებულებას თავის კლასის მსოფლმხედველობისაგან, ხდის ავტომატიურ და სქემატიურ კანონად.

ვიმეორებ, მხატვარი ხელოვნებაში სწორ და მართებულ დასკვნამდე მიდის წინააღმდეგ თავის მსოფლმხედველობისა და ხშირად ერთგვარი ბრძოლის გზით თავის მსოფლმხედველობასთან. ეს მინუსია ხელოვნებისათვის, მაგრამ ხანდახან რომ ეს ასე ხდება, ამის არც დავიწყება და არც უგულებელყოფა არ შეიძლება. ამის დავიწყებას თან მოსდევს ადმინისტრატიული ძალადობა იქ, სადაც მწერალს შესაძლებლობა უნდა მიეცეს თვითონ გაიაროს ეს ნაყოფიერი გზა მარქსისტ კრიტიკოსის იდეური ხელმძღვანელობით და დახმარებით.

იმის ნათელსაყოფად, თუ რომელი გზა არის ყველაზე უფრო ნაყოფიერი საბჭოთა მხატვრული ლიტერატურისათვის, რომელი გზა უფრო უზრუნველყოფს საუკეთესო პირობებს საბჭოთა ლიტერატურის წარმატებისათვის, მომხსენებელი მიმართავს რუსეთის თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურას, იძლევა ფადეევის, პანფეროვის, ლეონოვის, ვს. ივანოვის და ტიხონოვის მხატვრულ ნაწერების ანალიზს და გამოაქვს შემდეგი დასკვნა: ამ მწერალთა შემოქმედებაში, რომლებიც ინდივიდუალურად ერთმანეთს არ გვანან, ჩანს საბჭოთა სინამდვილის, ნაწილობრივ იმპერიალისტური ომის სინამდვილის სწორი ასახვა მისი უარყოფითი მომენტებით, განვითარების ტენდენციით, რევოლიუციის და სოციალიზმის გამარჯვების პერსპექტივების ჩვენებით.

სოციალისტური რეალიზმი და რევოლიუციონური რომანტიზმი

ცხოვრების სირთულის და მრავალფეროვნების სწორ ნამდვილ გამოხატვას, მთელი მისი დადებითი და უარყოფითი მომენტებით მისი განვითარების სოციალისტური საფუძვლების გამარჯვების ასახვით, ჩვენ შეგვიძლია თამამად ვუწოდოთ სოციალისტური რეალიზმი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სოციალისტური რეალიზმი ყველაზე მეტად ნაყოფიერია ჩვენი საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისათვის, რასაკვირველია, ჩვენ არავითარი ადმინისტრატიული ღონისძიებით არ შევეცდებით მის დამკვიდრებას ცხოვრებაში, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ შეცნობილ სოციალისტური რეალიზმის საფუძველზე საბჭოთა ლიტერატურამ მიაღწია თავის უდიდეს შედეგებს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მხოლოდ სოციალისტური რეალიზმის გზაზე საბჭოთა ლიტერატურა წინ წაიწევს და უფრო სრულყოფილი გახდება.

ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში საკმაოდ გამწვავებული ბრძოლა სწარმოებდა იმის გარშემო, თუ როგორ უნდა გამოსახოთ პიროვნება, საჭიროა, თუ არა საჭირო მისი ფსიქოლოგიის მოცემა. „ლიტფრონტის" აზრით, პიროვნება უნდა გამოსახულიყო აფსიხოლოგიურათ. ეს, რასაკვირველია, სწორი არ არის, რასაკვირველია, ცოცხალი, ნამდვილი პიროვნება შეუძლებელია მივიღოთ ადამიანი - ავტომატია, ადამიანის - მანქანის სახით, მაგრამ მეორე მხრით ამ თეორიების სამართლიანი გაკრიტიკების დროს „რაპპ"-ის ხელმძღვანელობამ დაუშვეს მეორე შეცდომა, რომელმაც რეალიზმის მოთხოვნა სუბიექტიურ იდეალიზმის მოთხოვნად აქცია, ისინი მოითხოვდენ, რომ კულტურული რევოლიუციის ყველა პროცესები, კლასობრივი ბრძოლის მთელი დიაპაზონი, მავნებლობით დაწყებული და სიზარმაცით დამთავრებული, მოცემული ყოფილიყო ერთი და იმავე პიროვნების ფსიხიკაში, ეს მოთხოვნა, რასაკვირველია, შემცდარია. ეს მოთხოვნა სოციალისტურ რეალიზმს სცვლის სუბიექტიური იდეალიზმით, ხოლო ამას ხელოვნებაში მოსდევს ისეთი შეცდომა, როგორიც არის ლიბედინსკის რომანი „გმირის დაბადება".

მხატვრული შემოქმედება რთული და მრავალწახნაგოვანია. არ შეიძლება სოციალისტური რეალიზმის ლოზუნგი სქემატიურ რეცეპტათ გარდავაქციოთ. სხვადასხვა მხატვრებს შეუძლიათ სხვადასხვა გზით მივიდენ სოციალისტურ რეალიზმამდე. მასთან მიახლოვების ხარისხი სხვადასხვაა. მოწინააღმდეგე ტენდენციების დაძლევის ხარისხიც სხვადასხვა მწერალს სხვადასხვა აქვს.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ სოციალისტურ რეალიზმზე, ეს იმას არ ნიშნავს რომ მას ეწინააღმდეგება და მასთან კონფლიქტშია რევოლიუციონური რომანტიზმი. პირიქით, ჩვენ ვცხოვრობთ გმირულ ეპოქაში, არასოდეს მომავალი თავის ძირითად ხაზებში ის მკაფიოდ არ დაუნახავს კაცობრიობას, როგორც ახლა. ეს მომავალი უკვე ჩვენს შორის არის, იგი ხარაჩოებით არის გარშემორტყმული, იგი იბადება დღეს ჩვენ თვალწინ, არასოდეს კაცობრიობას იმდენი გმირობა არ გამოუჩენია როგორც ჩვენ ეპოქაში. არასოდეს ამდენი გმირული საქმე არ გაკეთებულა სოციალისტური მომავლის განსახორციელებლად, როგორც ახლა. ჩვენ ვიმყოფებით იმ რეალური ოცნების განხორციელების ეპოქაში, რომლის შესახებაც სწერდა ლენინი „ჩტო დელატ"-ში, როცა იგი თავის [illegible] და ჩვენი დიდი კომუნისტური პარტიის პირველ რაზმებს. გმირობა, რევოლიუციისათვის თავდადება, ჩვენი რეალისტური ოცნების განხორციელება,—ყოველივე ეს ჩვენი ეპოქის, ჩვენი დღეების მეტად დამახასიათებელი და არსებითი მხარეებია. მხატვარი აკეთებს აუცილებელ სასარგებლო საქმეს, როცა იგი ამ თვისებებს ამაღლებს, მაშინაც კი, როცა მათ აიდიალიზირებს, აშორებს მათ არა არსებით საყოფაცხოვრებო დეტალებს, როცა იგი გვიჩვენებს ცხოვრების სისრულის, ცხოვრების იმ დიად გაქანებას, რომლისაკენაც სოციალისტურ მშენებლობას მივყავართ.

წითელი რევოლიუციონური რომანტიზმი —კანონიერი და სასარგებლო მოვლენაა, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა დიდ ასპარეზს იძლევა ცხოვრების მრავალფეროვანი გამოსახვისათვის სოციალისტური რეალიზმის ლოზუნგი, მაგრამ როცა ჩვენ წითელ რევოლიუციონურ რომანტიზმზე ვლაპარაკობთ, ჩვენ წინ ისმება ფორმის სრულყოფის, ოსტატობის საკითხი.

როცა ჩვენ ვეხებით სოციალისტურ რეალიზმს, მხედველობაში გვაქვს ობიექტიური სამყაროს გამოხატვა არა მარტო მისი ზედაპირული დეტალებით, არა მარტო მისი არსებითი დეტალებით, არამედ მთელი მისი არსებით, მთელი მისი ტიპიურ სახით.

ჩვენ მხედველობაში გვაქვს ცხოვრების სწორი გამოხატვა, მისი უარყოფითი და დადებითი მხარეებით, სოციალისტური რევოლიუციის საწყისების გამარჯვებით. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ჩვენი ნაწარმოებების ანტისაკუთრებრივი, ანტიკაპიტალისტური ხასიათი, რომელიც ზრდის მკითხველებში კაცობრიობის მომავლისათვის, პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისათვის ბრძოლის შეგნებას, ზრდის მასებში მებრძოლთა სულისკვეთებას. სოციალისტური რეალიზმის საწინააღმდეგო მოვლენათ, მის მოპირდაპირეთ, ჩვენ მიგვაჩნია იდეალიზმი, სუბიექტივიზმი, რა სახითაც არ უნდა მოგვევლინონ ლიტერატურაში ისინი ამრუდებენ, ამახინჯებენ სინამდვილეს. სოციალისტური რეალიზმს უპირდაპირდება ჩვენი სინამდვილის რეაქციონური მტრული ასახვა, წარსულისადმი თანაგრძნობა, ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმის წინაშე ქედის მოხრა.

სოციალისტური რეალიზმის სისრულეს აფერხებს რევოლიუციის არასრული შიგნება, არაარსებითი დეტალების გამოხატვა, ზერელობა, რიტორიზმი, სქემატიურობა. სოციალისტური რეალიზმის გზით ჩვენ მივაღწევთ ხელოვნების იმ იდეალს, რომელზედაც ლაპარაკობდა ენგელსი: ისტორიული სინამდვილის შეცნობის შეთავსება შექსპირისებურ ცხოველმყოფელობასა და დამახასიათებლობასთან.

ჩვენი საუკუნის მოწინავე იდეების შეთვისება, მუშათა კლასის მსოფლმხედველობის—მარქსიზმ - ლენინიზმის შეთვისება გაგვიადვილებს ამ იდეალის განხორციელებას.

ოსტატობას, ტალანტს, მხატვრული ნაწარმოების ფორმალურ მხარეს უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს. ჩვენი ლიტერატურის გამოცდილება უკვე დიდი და მეტად ნაყოფიერია, მისი მნიშვნელობა უკვე გასცდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს, ჩვენი ამოცანაა,—მტკიცედ დავეყრდნოთ მასში გამომჟღავნებულ საღ პროცესებს და ტენდენციებს და დავაჩქაროთ მისი ზრდა. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ საბჭოთა ლიტერატურის კიდევ უფრო გამდიდრებისათვის. მისი მხატვრული ღირსების ამაღლებისათვის.

ჩვენი საბჭოთა ლიტერატურა კულტურული რევოლიუციის მძლავრი იარაღია, იმ კულტურული რევოლიუციის, რომელიც მსოფლიოს სოციალისტური გარდაქმნის განუყრელი ნაწილია, იმ კულტურული რევოლიუციის, რომელიც იბრძვის მეორე ხუთწლედისათვის, იბრძვის უკლასო საზოგადოების შექმნისათვის, იბრძვის მესაკუთრული ჩვევების და საწყისების აღმოფხვრისათვის ადამიანთა ფსიხიკაში.

როცა ჩვენ ვლაპარაკობთ საბჭოთა ლიტერატურის აღმზრდელობითი როლის შესახებ, უნდა გავიხსენოთ ის სიტყვები, რომელიც ითქვა პიესის, თეატრის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ ჩვენი ხელოვნებისათვის. მართლაც, თეატრი ყველაზე დემოკრატიული, მასებისათვის ყველაზე მისაწვდომი ხელოვნებაა. მართლაც პიესით გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე რომანით მისწვდე მაყურებელს, აამოძრაო და აალელვო მისი გრძნობები, დასტოვო მაყურებელში აღმზრდელობითი კვალი. თუ რომანებს კითხულობენ ათეული და ასეული ათასები, პიესა თეატრების და კლუბების გაშლილი ქსელის მეოხებით მისაწვდომი ხდება ასეულ ათასებისა და მილიონებისათვის.

სწორედ ამიტომ ბატონობისაკენ მიმავალი ბურჟუაზია გამოვიდა დრამატურგიით და მისი საშუალებით თავის გავლენის ორბიტში მოაქცია მაყურებელთა მასები.

ჩვენ მოვუწოდებთ მწერალთა მთელ საზოგადოებრიობას, რომ მათ მეტი ყურადღება მიაქციონ მაღალი მხატვრული თეატრალური რეპერტუარის შექმნას.

ამრიგად, ჩვენ გვჭირია მხოლოდ მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენი ლიტერატურა უფრო მეტი შეგნებით, უფრო მეტი ძლიერებით იბრძოდეს უკლასო საზოგადოების შექმნისათვის, ახალი ადამიანის აღზრდისათვის. ამ გზაზე საბჭოთა ლიტერატურამ მრავალი რამ მოიპოვა, მან მოიპოვა პროლეტარიატისა და ყველა მშრომელთა ნდობა. ამ გზაზე მას სიამაყით შეუძლია ჩასთვალოს თავი იმ ძალად, რომელიც მონაწილეობს ახალი ქვეყნის—თავისუფალი კომუნისტური შრომის შექმნაში.

---

*) იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით რედ.

ამხ. ლ. სუბოცკის მოხსენება

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის 23 აპრილის დადგენილების რეალიზაციის მიმდინარეობა

ამხ. სუბოცკი თავის მოხსენების შესავალში ეხება იმ ძირითად ამოცანებს, რომლებიც წამოიჭრენ საბჭოთა ლიტერატურის წინაშე უშუალოდ ს. კ. პ. (ბ)-ის ცენტრალური კომიტეტის ისტორიულ დადგენილების შემდეგ.

ამჟამად მოსკოვში 144 სალიტერატურო წრეა, რომელთაგან 47 წრე რეგულიარულად უშვებს ლიტერატურულ ფურცლებს თავიანთ საფაბრიკო საქარხნო გაზეთებში.

მაქსიმ გორკის იუბილემ მისცა ახალი ბიძგი ლიტწრეების ორგანიზაციას და საგრძნობლად გააცხოველა მათი მუშაობა.

ორგკომიტეტმაც ფართოდ გაშალა საკონსულტაციო მუშაობა ცენტრალურ სალიტერატურო კაბინეტთან. 4 უკანასკნელი თვის განმავლობაში გაცემულია დაახლოებით 500 კონსულტაცია.

სალიტერატურო წრეების შემდგომი მუშაობა უნდა დაეყრდნოს დიფერენცირებულ მიდგომას წრის თვითეული მონაწილესადმი. ამასთან საჭიროა უზრუნველყოფილი იქნას სალიტერატურო წრეებზე საქარხნო პარტიულ და პროფორგანიზაციების ხელმძღვანელობა.

შემდეგ ამხ. სუბოცკი ეხება საბჭოთა კრიტიკას და ამბობს: ჩვენი კრიტიკა ჩამორჩება საბჭოთა მხატვრულ ლიტერატურის ზრდას.

„რაპპ" ძირითადმა კრიტიკულმა კადრებმა ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისთანავე ვერ შესძლეს გაეჩაღებიათ დაუყოვნებლივ ბოლშევიკური ბრძოლა ამ დადგენილების განხორციელებისათვის. ეს გარემოება კი მეტად აბრკოლებდა ჯგუფობრიობის ლიკვიდაციას. ეხლა პარტიის სწორი პოლიტიკის, გაზეთ „პრავდის" დახმარების, ორგკომიტეტის მუშაობის მეოხებით, უკვე მომზადებულია პირობები ჯგუფობრიობის ლიკვიდაციისათვის. ამ მხრივ უსათუოდ დადებითი როლი შეასრულეს ამხ. ფადეევის უკანასკნელმა წერილებმაც, თუმცა ამხ. ფადეევმა ამ წერილებშიდაც სცადა დაეცვა არასწორი, პარტიის ხაზის საწინააღმდეგო ლოზუნგი: „მოკავშირე, თუ მტერი".

შემდეგ მომხსენებელი დაწვრილებით აცნობს თათბირს მწერალთა მატერიალურ მდგომარეობისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესებისათვის გამომუშავებულ გეგმას (საბჭოთა ლიტერატურის სახლის აგება. დასვენებისა და შემოქმედების სახლის აგება, საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაცია, სალიტერატურო ფონდის, მწერალთა საექიმო დახმარების, მწერალთა უფლებრივი დაცვის ორგანიზაცია, საავტორო უფლებების უზრუნველყოფა, სალიტერატურო ორგანიზაციების ფინანსებით უზრუნველყოფა და სხვა).

შემდეგ მომხსენებელი საკმაოდ ვრცლად ეხება მწერალთა შორის პოლიტიკურ აქტიობის ზრდას და მათი შემოქმედებითი მუშაობის გაცხოველებას. მომხსენებელს მოჰყავს მწერლების—ფედინის, ტიხონოვის, სეიფულინას, სლონიმსკის, კაზაკოვის, კაჟენსკის, პილნიაკის, ლიდინის და სხვების განცხადებები, სადაც ეს მწერლები გამოსთქვამენ თავიანთ მზად ყოფნას აქტიური მონაწილეობა მიიღონ სოციალისტურ მშენებლობაში და მხატვრული ლიტერატურის ფრონტზე იბრძოლონ მუშათა კლასის საქმისათვის.

— პარტიის ცენტრალური კომიტეტის 23 აპრილის დადგენილება,—ამბობს დასასრულ მომხსენებელი,—წარმოადგენს დოკუმენტს, რომელმაც უდიდესი ენერგიით აღჭურვა საბჭოთა ლიტერატურა და ამით დააჩქარა მისი განვითარება, განვითარება, რომელიც მოამზადა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში მომხდარმა ძირეულმა ცვლილებებმა და პროლეტარული დიქტატურის გამარჯვებამ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

გასული ზაფხული მეტად ნაყოფიერი პერიოდი იყო საბჭოთა მწერლობის უმრავლესობისათვის, ამას აშკარად მოწმობს გამომცემლობათა პორთფელები, სადაც ამჟამად დაგროვილია ასობით ხელთნაწერები.

საბჭ. მწერლების დიდი ნაწილის ინტენსიური მუშაობა გრძელდება და ამჟამად ჩვენ ვდგევართ მხატვრული ლიტერატურის უდიდეს აყვავების წინაშე.

სოციალისტური თაობის აღზრდის სკოლა

მოზარდ მაყურებელთა თეატრი წარმოიშვა ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ. იგი იშვა იმ ამოცანათა წიაღიდან, რომლებიც დააყენა ჩვენს წინაშე რევოლიუციამ ოქტომბრის თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში. ამიტომ ამ თეატრის, როგორც სკოლის გარეშე აღზრდის ორგანიზაციის, პრინციპები თავიდანვე მოცემული იყო.

მოზარდ მაყურებელთა თეატრი, რომელიც ბავშთა კომუნისტურად აღზრდას უნდა აწარმოებდეს მარქსისტული პედაგოგიკის პრინციპებზე, წარმოადგენს საბჭოთა სკოლის დამხმარე ყველაზე უფრო უმნიშვნელოვანეს ორგანიზაციას. მოზარდ მაყურებელთა თეატრი, სწორი ხელმძღვანელობის საფუძველზე უნდა გადაიქცეს ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის საშუალებად, რადგან იგი აერთიანებს იდეოლოგიური ზემოქმედების მრავალ ფორმებს და სახეებს.

თეატრი,— როგორც ხელოვნება ყველაზე უფრო რთული სახეა, რომელშიაც კონცენტრაციაქმნილია ხელოვნების თითქმის ყველა „ფორმები",—ბავშს, რომელსაც ჯერ კიდევ არა აქვს შემუშავებული და განმტკიცებული ემოციონალური ცხოვრება და აზროვნება, აძლევს სტიმულს, უღვიძებს ინტერესს და მისწრაფებას საზოგადოებრივი ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად. თეატრი ბავშს ყოველმხრივად იპყრობს, რადგან აქ **მხატვრული სიტყვა დაკავშირებულია მოქმედებასთან, აქტიორის სახისა და ტანის მოძრაობასთან, მხატვრობასთან, სცენის კონსტრუქციასთან, დადგმის ინტერპრეციასთან, მუსიკასთან, ცეკვასთან** და სხვ. შეიძლება გაბედულად ითქვას, რომ არ არსებობს მაყურებელ ბავშში არც ერთი „უჯრედი" გრძნობისა და „აზროვნების" სფეროებიდან, რომელშიაც ღრმად არ იყოს შეჭრილი ყოველი ძლიერი დადგმა თავისი მრავალმხრივობით; „იგი იპყრობს მაყურებლის მთელ შემგრძნობ აპარატს" და მის ემოციონალურ ცხოვრებას ერთ საერთო განცდებისა და ცხოვრებისაკენ მიმართავს.

ამიტომ, მოზარდ მაყურებელთა თეატრმა საპატიო ადგილი უნდა დაიკავოს ბავშთა კომუნისტურად აღზრდის, მასში მტკიცე ნებისყოფისა და მისწრაფების გამომუშავების საქმეში. მოზარდთა თეატრი უნდა დაეხმაროს სკოლას, პიონერორგანიზაციას, კომკავშირს და სხვ. ბავშთა ჯანსაღ და გონივრულად აღზრდაში, მთელი მისი ზემოქმედება მიმართული უნდა იყოს მხოლოდ ერთი მიზნისაკენ — განავითაროს ბავშში აზროვნების და მოვლენებში გარკვევის უნარი, ინიციატივა, თვითმოქმედება, კლასობრივი შეგნება, ოპტიმისტური რწმენა მომავალზე, აღზარდოს მისგან უკლასო—სოციალისტური საზოგადოების აქტიური და შეგნებული მშენებელი.

ამ შემთხვევაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს დადგმის ფორმას და პიესის ინტერპრეტაციას. როგორც სამართლიანად აღნიშნავენ ყოველი დეტალი დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ბავშზე, იმ გაგებით, რომ სცენაზე ნაჩვენები მოვლენა, ბავშს ჰგონია ძალიან ბევრად უფრო დიდად, ვინემ ის არის ცხოვრებაში. ამიტომ, ცხოვრების კონკრეტული დეტალი უნდა ვაჩვენოთ ისე, რომ არ გასცდეს იგი ბავშის ფანტაზიის უნარს. თუ ამ თვალსაზრისის საფუძველზე დავსდგებით არ არიან მართალნი ის ამხანაგები, რომლებიც ფიქრობენ, რომ მოზარდ მაყურებელთა თეატრი უნდა აგებული იყოს ნატურალისტურ პრინციპებზე. თეატრალური ხელოვნების ეს მოძველებული და ანტიდიალექტიური ფორმა სრულიად მიუღებელი და დასაგმობია მოზარდთა თეატრისათვისაც. თეატრის პირობითი მხარეები ამ შემთხვევაში უფრო წინა პლანზე გამოდის და იპყრობს გაბატონებულ ადგილს.

„მთელი მუშაობა მოზარდთა თეატრისა ისე უნდა იყოს აგებული, რომ მაყურებელი თანდათან მიდიოდეს იმის გაგებამდე, თუ რას ნიშნავს ცხოვრების **თეატრალური წარმოდგენა**". თეატრის ყოველი ელემენტი,—მხატვრული სიტყვა, მოქმედება, აქტიორის სახისა და ტანის მოძრაობა, მხატვრობა, სცენის კონსტრუქცია, დადგმის, პიესის ინტერპრეტაცია, მუსიკა, ცეკვა, ფერი, შუქი და სხვა,— უნდა ატარებდეს უაღრესად მიზანდასახულების ხასიათს. მოზარდთა თეატრის მუშაობა აგებული უნდა იყოს არა ნატურალისტურ-მექანისტურ, არამედ უაღრესად რეალისტურ — დიალექტიურ პრინციპებზე და მისი პირობითი მხარეებიც ამით გამართლებული იქნება.

მაგრამ, ამასთან ერთად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თვით პიესის შინაარს, რაც მთლიანად დამოკიდებულია მწერლის—დრამატურგის მსოფლმხედველობაზე. **რას და როგორ ვაწვდით მაყურებელს?** ეს კითხვა მოზარდ მაყურებელთა თეატრის ცენტრალური კითხვაა. მარქსისტული—დიალექტიურ - მატერიალისტური მსოფლმხედველობის სიმახვილე განსაკუთრებით აქ გვესაჭიროება. მოზარდ მაყურებელთა თეატრისათვის დაწერილი პიესა ყველაზე მეტად უნდა იყოს დახვეწილი და გაწმენდილი მექანისტურ და იდეალისტურ ელემენტებისაგან. ბავშს უნდა მიეცეთ მოვლენები არა სტატიურ-მექანისტურ, არამედ დინამიურ-დიალექტიურ პროცესში, რომ მას შეეძლოს ყოველმხრივად გაერკვეს ამ მოვლენის არსში, განვითარების სხვადასხვა სახეებში და აგრეთვე შესძლოს წარმოიდგინოს მისი მომავალი ფორმები. აქ მთელი სიგრძე-სიგანით იჭრება დიალექტიური მატერიალიზმის მეთოდის,— როგორც უნივერსალური კლასობრივი მეთოდის,—დაუფლების ამოცანა .ამ მეთოდით უნდა იყოს მოცული თეატრის შემადგენელი ელემენტების მთელი კომპლექსი, რადგან ჩვენი მოზარდ მაყურებელთა თეატრი ბურჟუაზიულ საბავშო თეატრისაგან განსხვავდება იმითაც, რომ აქ ბავში არის არა პასიური მაყურებელი, არამედ აქტივი ამ თეატრის; კულტურულ-მასიურ და პედაგოგიურ მუშაობის სხვადასხვა ფორმებით მაყურებელი აქტიურ მონაწილეობას იღებს თეატრის ცხოვრებაში, დადგმის შეფასებაში, მისი ხასიათის გამორკვევაში და სხვა, რაც საშუალებას გვაძლევს ყოველმხრივად განვავითაროთ ბავშის აქტივობა და აზროვნების უჯრედები. ამიტომ, იგი წარმოადგენს კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას და მით დაინტერესებული უნდა იყოს ყოველი საბჭოთა ორგანიზაცია.

შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ საქართველოში ამ თეატრების მუშაობას არ ექცევა დღემდის სათანადო ყურადღება, განსაკუთრებით სუსტად არიან დაინტერესებული ამ საქმით ჩვენი მწერლები. ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის შეგნებული მოზარდ მაყურებელთა თეატრის განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა სოციალისტური საზოგადოების აქტიური და შეგნებული მშენებლების აღზრდის საქმეში. ჩვენი მწერლების ნაწილი არ იცნობს ამ თეატრს, მაშინ როდესაც ის უნდა იყოს ამ თეატრის ნამდვილი პოპულიარიზატორი. ასევე შეიძლება ითქვას პედაგოგებზე. განსაკუთრებით კომუნისტ და კომკავშირელ პედაგოგებზე.

ასეთ პირობებში ბრძოლა თეატრის პრინციპების სიწმინდის დაცვის და მთელი მუშაობის მარქსისტული მეთოდის საფუძველზე აგებისათვის უნაყოფო და წყლის ნაყვაა.

ტფილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრს თავისი არსებობის პერიოდში ოცამდე დადგმა აქვს, მათ შორის დიდი ნაწილი თარგმნილია, ნაწილიც კიდევ სუსტი მხატვრული და იდეოლოგიური თვალსაზრისით (აუცილებლად უმნიშვნელოვანეს გამარჯვებებთან ერთად). მაგრამ, ჩვენ ვსვამთ კითხვას — **რომელი საბჭოთა მწერალი იცნობს ამ დადგმებს?, რომელ მწერალს, რომელ დრამატურგს უფიქრია, რომ დაეწერა პიესა ამ თეატრისათვის?** დიდ აკადემიურ თეატრებით გატაცება კარგი საქმეა, მაგრამ იგი არ უნდა გადაიქცეს „პოეტურ" გატაცებათ. მხატვრულ სიტყვას ყველაზე მეტის გაკეთება სოციალიზმისათვის მოზარდ თაობაში შეუძლიან. ჩვენი საბჭოთა მწერლობა—დრამატურგია უნდა შემობრუნდეს პირით მოზარდ მაყურებლისაკენ, სოციალიზმის თაობის აღზრდისაკენ.

ჩვენ არა გვაქვს მოზარდ მაყურებლისათვის „ორიგინალური", ერუდიციით, „ორიგინალური" ფერებით, ორიგინალურ ცხოვრებიდან საუკეთესოდ დაწერილი, მხატვრულად და იდეოლოგიურად ყოველმხრივ გამართლებული პიესა. ასეთი პიესის საჭიროება კი განსაკუთრებით დიდია. ამის გარეშე ჩვენი თეატრების შემდგომი ნაყოფიერი მუშაობა შეუძლებელი და წარმოუდგენელია. ამის შესახებ პრაქტიკული სიტყვა უნდა სთქვან საბჭოთა მწერლებმა.

სოციალისტური აღზრდის სკოლა მოითხოვს ჩვენი მწერლების აქტიურ დახმარებას.

ერ. ასტვაცატუროვი

85

ალი არსენიშვილი

გარდაქმნის ნიშნის ქვეშ

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების თანავე რუსეთის კაპიტალისტებთან და აგრარიებთან ერთად საზღვარ გარეთ გაიხიზნა აგრეთვე ოქტომბერთან შეურიგებელი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ლიტერატურის თითქმის ყველა წარმომადგენელი, მათ შორის რუსული „სიმბოლისტური სკოლა", ვ. ბრიუსოვის, ალ. ბლოკის და სხ. გამოკლებით, რომელნიც, სხვათა შორის, იყვენ პირველი თანამგზავრები და საერთოდ წარმოადგენდნენ იდეალისტური მსოფლმხედველობის ასე თუ ისე გარდაქმნის პირველ მაგალითს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ვლ. მაიაკოვსკის განსაკუთრებულ და თავისებურ გზას. ტყუილი გამოდგა მერეჟკოვსკების, გიპიუსების, ბალმონტების და მათი მზგავსების მედიდური იმედი, რომ მათი წასვლით დაცარიელდებოდა ლიტერატურის ასპარეზი და რომ ისინი იყვნენ „განუმეორებელი ყვავილი". მალე სამოქალაქო ომის ფრონტებიდან დაბრუნებულმა ახალგაზრდობამ დაამტკიცა, რომ „ექსორია ქმნილნი" მხოლოდ ბურჟუაზიულ ჰაობის ავი ყვავილები იყვნენ და შეუდგა ოქტომბრის რევოლუციის პირველი პერიოდის ანარეკლის მოცემას მწერლობაში. და დღეს რუსეთის პროლეტ. მწერლობა, გარდა იმისა, რომ გამარჯვებულ მუშათა კლასის ისტორიულად პირველ ლიტერატურას წარმოადგენს, იდეურ-ხარისხობრივადაც წამყვან ძალად გადაიქცა, როგორც საბჭოთა კავშირის მრავალეროვან ლიტერატურებისათვის, ისე მის საზღვრების გარეთაც.

ქართული პროლეტარული ლიტერატურის ჩამოყალიბება და გაფორმება მოხდა გაცილებით უფრო გვიან, ვიდრე რუსეთის, რადგან მუშათა კლასის განთავისუფლებამ საქართველოში დაიგვიანა ერთი ისტორიული გადასარბენით, რომლის განმავლობაში ხელოვნურად დამუხრუჭებული იყო ის უდიდესი რევოლუციონური შემოქმედებითი ენერგია, რომელმაც შემდგომ დაამსხვრია, როგორც უდღეური მენშევიკური „სამოთხე", ისე მენშევიკური ეპოქის ლიტერატურის დაპირისპირება „აღმოსავლეთის ბარბაროსების" იდეოლოგიასთან და მისი ორიენტაცია ბურჟუაზიულ დასავლეთზე.

საქართველოს ოქტომბრის პირველი პასუხი ლექსებით გასცეს ს. ეულმა, ნ. ზომლეთელმა, პ. სამსონიძემ, ი. ვაკელმა და სხვ. ისინი უმღეროდენ რევოლუციის სტიქიურ ძალას, მასში ხედავდნენ კოსმიურ ცეცხლს და ძველი კულტურის გამანადგურებელ ძალას. ეს იყო ყიჟინა, ერთი აღფრთოვანებული შეტევით და გმირული თავდავიწყებით ქვეყნის გარდაქმნის წყურვილი. გარშემო ხდებოდა პროლეტარული რევოლუციის პირველი უდიდესი აქტები, ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია, ფეოდალიზმის ნაშთების მოსპობა, მეზობელ ერთა მშრომელების კავშირის აღდგენა — მაგრამ კოსმიური პროცესების პოეტები ვერ ანსხვავებენ და კონკრეტულად არ ეხებოდენ ყოველივე ამას და პროლეტკულტის იდეების დიდი გავლენის ქვეშ მყოფნი მხოლოდ აბსტრაქტიულ განთავისუფლების რიტმს ქმნიდენ. ამ პერიოდის მათი პოეზია ასახავს განთავისუფლებულ მასების პირველ და მძლავრ ძახილს იმ ჰაობში, რომელსაც წარმოადგენდა მენშევიკური ტერორის ქვეშ დაყენებული პროლეტარული აზროვნება.

მაგრამ ამავე დროს იმ ფსევდო-მუშათა პოეტებისათვის, რომელნიც გამოვიდნენ 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდგომ ხანაში და გამოსახავდენ პროლეტარიატის მაშინდელ წვრილ ბურჟუაზიულ მოკავშირეების უკან დახევას, „საერთო დემოკრატიულ" ნაციონალისტურ პოზიციებისაკენ (აბაშელი, ობოლი მუშა), პროლეტარული რევოლუცია გადაიქცა იმ ლაკმუსის ქაღალდათ, რომელმაც ნათელჰყო ბურჟუაზიის ამ ნამდვილი მომღერლების ჭეშმარიტი რაობა. ისინი, როგორც ბურჟუაზიული დემოკრატიის „შორი ნათელის" სევდის მატარებლები, ისტერიული გოდებით შეხვდენ პროლეტარულ რევოლუციას და საქართველოს ოქტომბერი „ისტორიულ შეცდომად" გამოაცხადეს. აბაშელი ერთგული დარჩა აკაკი წერეთლის კუბოსთან მიცემულ ფიცს, რომ მის მიერ ნანდერძევ „საერთო ნაციონალურ ჰარმონიის" გამტარებელი იქნებოდა და საპანაშვიდო ლექსთა ყრობით შეხვდა უდიდეს სოციალურ ქარტეხილს.

და სწორედ ამ სამუდამოდ დაკარგულ, მთლიან, უკლასო, ქართულ ნაციონალურ ჰარმონიის ძიების, საქ. „ოქროს ხანის", სევდის და წარსულის იდეალიზაციის ნიადაგზე შეერთდა და საერთო ენა გამონახა ყოფ. ს.-ფედერალისტურ, მენშევიკურ, ნაციონალ-დემოკრატიულ და სხვ. „მიმართულების" ლიტერატურულმა ძალებმა ბურჟუაზიულ ნაციონალისტურ იდეოლოგიის ისეთ თავშესაფარში, როგორიც იყო ჟურნ. „კავკასიონი", „არიფიონი" და სხვ. ერთი „სკეპტიკოსი—არიფი" (გ. ქიქოძე), ვითომდა იმით გულგატეხილი, რომ „აღთქმული (!) მსოფლიო კატაკლიზმი არ მოხდა, რევოლუციამ ვერ გადალახა ევრაზიის საზღვრები და დედამიწის ერთი მეექვსედი ნაწილით შემოიფარგლა" (ტროცკიზმის ნაცნობი ჰანგები!—ა. ა.), ანვითარებდა იმგვარ „სიბრძნეს", რომლის მიხედვით ოქტომბრის რევოლუცია და კომუნიზმი შენდება არა მარქსიზმ-ლენინიზმის მიერ დადგენილ კაპიტალიზმის რევოლუციონური დაძლევის, არამედ ევრაზიულ კულტურის საფუძველზე. და ამ რეაქციონურ ბურჟუაზიულ ევრაზიულ კონცეპციას ქიქოძე საფუძვლად უდებდა „ეროვნულ ენერგიის შენარჩუნებას და კულტურულ ტრადიციის ჯაჭვის შეუწყვეტლობას", ე. ი. ოქტომბრის რევოლუციის და საერთოდ კლასთა ბრძოლის უარყოფას და მთლიანი ქართველი „ერის" და მისი „ჰერეთულ-რუსთველურ" წარსულის იდეალად დასახვას.

ეს ნაციონალ-დემოკრატიული იდეოლოგია, რომელსაც ანალოგიურ პირობებში ადგილი ჰქონდა უკრაინის და ბელორუსიის ნაციონალურ რესპუბლიკებშიაც ეგრედ წოდებულ „ნაცდემოვშჩინის" სახით, შეიძლება ჩაითვალოს ტიპიურად ქართულ მწერლობის მემარჯვენე ნაწილისათვის, სადაც მრავალგვარ ვარიაციებით და მოდიფიკაციით, ცოტად თუ ბევრად შენიღბული, იგი გვევლინება ფორმალურად სხვადასხვა მიმართულების მწერლებად, როგორიც არიან, მაგ., კ. გამსახურდია, გრ. რობაქიძე, შ. დადიანი, ნ. ლორთქიფანიძე, მიხ. ჯავახიშვილი, და სხვ.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ გაშლილ სოციალისტურ აღმშენებლობის ზეგავლენით, მთელი რიგი მწერლებისა ხსენებულ პლეადიდან ერკვეოდა იდეოლოგიური კონსერვატიზმის და რეაქციონური მსოფლმხედველობის ტყვეობიდან და დღევანდელ ეტაპზე შეიძლება უკვე ფაქტად ჩაითვალოს მათში მომხდარი საგრძნობი ძვრები, რომელთა მატერიალიზაცია შეადგენს მათი მუშაობის მიმდინარე ამოცანას.

ასე, მაგ., მ. ჯავახიშვილის ლიტ. პროდუქციის მთავარ „იდეურ" ხაზს წარმოადგენდა „აპოლიტიურ" ობივატელის დამოკმაყოფილება ისეთი ბელეტრისტიკით, რომელშიაც ძნელი იყო ისეთი რამის გამოძებნა, რაც სცილდებოდა წვრილი მესაკუთრის ჰორიზონტს.

რევოლუცია უსაქმო-„დამპატიჟებელს" საქმედ იყო წარმოდგენილი და მის მო[illegible] [illegible] და ჯაჭვები [illegible].

მაგრამ უკანასკნელ პერიოდში მიხ. ჯავახიშვილმა თავის „არსენა მარაბდელში" გამოამჟღავნა თავისი იდეური პოზიციების გადათვალიერების ცდა (გაბატონებულ კლასთა ირონიულ-სატირული ჩვენება, გლეხთა მოძრაობის მოცემა და სხვ.).

ნაცდემოვშჩინის აშკარა ვარიაციას წარმოადგენს გრ. რობაქიძის ევრაზიული სინტეზი, რომელიც მოცემულია არჩიბალდ მეკეშის („გველის პერანგი") რანტიერულ, ეგზოტიურ და ბურჟუაზიულ-კოლონიალურ თავგადასავალში, სადაც საქართველო, სპარსეთი და მთელი აღმოსავლეთი გახსნილია როგორც ეგზოტიური საიდუმლოება „ორუბაქიძის" არისტოკრატიული სისხლის ძიებისა. ამ მხრივ სოციოლოგიურად ნიშანდობლივია იდეოლოგიურ განწყობილებათა და გემოვნებათა ის შეხვედრა, რომელიც მოხდა რობაქიძის და უმეტესად სქესობრივ-ბულვარულ „საიდუმლოებათა" ისეთ მსხვილ მიმწოდებლის შორის როგორიცაა ცვაიგი. რობაქიძესაც აქვს ბურჟუაზიულ-მისტიურ ესთეტიკის რკალის გარღვევის ერთგვარი ცდა („უდეგა"), მაგრამ იგი მხოლოდ ნიშანია ახალი გზის მაუწყებელი.

რობაქიძის საკმაოდ „ორტოდოქსალური" მიმდევრად უნდა ჩაითვალოს კ. გამსახურდია რომელსაც უკანასკნელ ზომამდე დაყავს რობაქიძის „ზაპადნიკობა" (წვრილბურჟუაზიულ ეგოცენტრიზმის და სნობიზმის გაგებით) და რომლის ნაციონალიზმი ბუტაფორიულ ხასიათს ატარებს.

თანამედროვეობის გამწრთობი უდიდესი ლუმელის გავლენის გარეშე არ დარჩენილან ისეთი მწერლები, რომელთა მთავარი სამწერლო ასპარეზი უმეტესად წარსულის იდეურ-მხატვრულ მოსახურეობაში იყო მოქცეული (შ. დადიანის „თეთნულდ" და ხ. ლორთქიფანიძის „ბილიკებიდან ლიანდაგზე").

სულ სხვაა, მაგ., ლ. ქიაჩელის ლიტერატურული პრაქტიკა, თუმცა თავის „სისხლში" მან მოგვცა 1905 წლის რევოლუციის არა სწორი ანარეკლი, რადგან მთავარი ხაზი მიმართა საქართველოს რასიულ რჩეულობის კონცეპციისაკენ და ამით კლასობრივი ბრძოლის გეზი გაამრუდა. მაგრამ მასში მაინც იგრძნობა პოტენციალური ძალა, რომელმაც უნდა შესძლოს სწორ გზაზე გამოსვლა.

გამძაფრებულ კლასთა ბრძოლაში ერთი მეორეზე ეცემოდა ფეოდალურ-კაპიტალისტურ საქართველოს საყრდენები, გაიზარდა და განმტკიცდა ინდუსტრიალური ბაზა, მოზარდ პროლეტარიატის ახალმა ფენებმა და მშრომელმა გლეხობამ შექმნა ახალი სოციალისტური კანონზომიერება, მასიური შემოქმედების შინაარსით გაავსო და განამტკიცა თავისი ხელისუფლება და ლიტერატურულ ფრონტზე მოავლინა ახალი ძალები, რომელთაც საბჭოთა საქართველოს მიმდინარე რევოლუციონური პროცესები ასახეს ახალ თემატიკით და, რაც მთავარია, ყოველგვარ ნაცდემოვშჩინასთან რევოლუციონურად დაპირისპირებულ, სინამდვილის გარდამქნელ მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობის და შემოქმედებითი მეთოდის საშუალებით. აქ საკმარისია დავასახელოთ **ა. მაშაშვილის, კ. ლორთქიფანიძის, კ. კალაძის, ფრ. ნაროუშვილის, პ. ჩხიკვაძის, ბ. ჩხეიძის და სხვ.** მონაცემები და მათი განუწყვეტელი შემოქმედებითი ზრდა. რა თქმა უნდა, მსოფლმხედველობის ლენინურ ეტაპზე ასვლა, მისი დახვეწა და მრავალგვარ ოპორტუნისტულ დამახინჯებებისაგან გაწმენდა არ მომხდარა და არ ხდება ერთი ხელის დაკვრით, თვითდინებით და უბრძოლველად: განვლილი დროის, როგორც მხატვრულ პროდუქციაში, ისე თეორიულ-კრიტიკულ აზროვნებაში მოიპოვება კლასობრივად უცხო იდეოლოგიის გავლენები. მათი დაძლევისა და საბოლოოდ აღმოფხვრისათვის ბრძოლა ლიტერატურული ფრონტის ერთ-ერთი საბრძოლო ამოცანას შეადგენს. ეს ამოცანა სხვადასხვა იდეოლოგიურ კონცეპციების (სიმბოლიზმის, ლეფოვშჩინის და სხვ.) ნალექის გაქრობის სახით ამა თუ იმ ზომით სდგას ისეთი პოტენციის მქონე ძალების წინაშე, როგორიცაა გ. ტაბიძე, ს. ჩიქოვანი, ს. კლდიაშვილი და სხვ., რომელნიც საბჭოთა ლიტერატურის ოსტატობისათვის მეჯიბრის მოწინავე რიგებში დგანან.

დიდი პერსპექტივის და ხარისხობრივად საგრძნობ სიმძიმის შემოქმედების შემცველია დღევანდელი საქ. საბჭოთა მწერლობა, რომელიც თავის რიგებში იტევს უკვე ერთგვარად დადგენილ და ზრდაში მყოფ საკმაო ძალებს იმისათვის, რომ განახორციელოს საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 23 აპრილის ისტორიული დადგენილების მიერ დასახული მხატვრული შემოქმედების სერიოზული გაქანება.

მაგრამ უდიდესი შეცდომა იქნებოდა, რომ ამ ისტორიულ დადგენილების შემდეგ ერთ მთლიან უდიფერენციო ნაკადად წარმოვიდგინოთ მწერლობა და ოდნავ მაინც შევასუსტოთ პარტიულობისათვის ბრძოლა ლიტერატურაში, რომელიც ლენინის თქმით, ყოველთვის თან სდევს იდეოლოგიის ისტორიას და რომლის დასასრული დაკავშირებულია კაპიტალიზმის ნაშთების გაქრობასთან ეკონომიკაში და შეგნებაში და სოციალიზმის ყოველდღიურ ყოფაში განმტკიცებასთან. მეორეს მხრივ „არ იქნებოდა სწორი და დიალექტიური ძველი პოლიტიკის განგრძობა ახალ შეცვლილ პირობებში" (სტალინი), ე. ი. მტრად გამოცხადება ყველა იმ მწერლისა, რომელსაც გარდაქმნისადმი მისწრაფება ვერ გაუნაღდებია ხელშესახებ იდეურ-მხატვრულ ფორმებში.

ორ ფრონტზე ბრძოლის და უცხო იდეოლოგიის ყოველგვარი გამოვლინების განადგურების გზით ავიყვანოთ ქართული საბჭოთა მწერლობა ლენინური ეტაპის სიმაღლეზე და შევქმნათ უკლასო საზოგადოებისათვის მებრძოლი ლიტერატურა.

გ. ლეონიძე

ოლე

შენ ლიახვის კლდეზე დგეხარ
ძველი მოსასახამით,—
ოლე, *) ოლე, მარტოხეო,
დღისითა და ღამით;
შიგნიდამვე გამომწვარო
მარტოობის შხამით,
შიგნიდამვე გაბზარულო
დახეთქილო კეცად;
ხე ბრუნდევს და ხე მართალო
ხეო ერთო ბეწვა.
დგეხარ, როგორც სახრჩობელა,
თვით გახრჩობენ მთები,
დაკიდებულ არწივს ჰგეხარ
მომსხვრეული ფრთებით.
რაშო მიწას მიჭედილო,
ველარ აიქროლე;
პარტახო და ნამეხარო,
მარტოხეო ოლე!

გელანდება ნაჯახები
და გრიგალი დამჯახები
მწარედ აგათრთოლებს.
ცას ჯანღების აჯანყებით,
ხეტყვას, მბრწყინავ თოვლებს
დამდნარ ძვლებით ეგებები.
მარტოხეო ოლე!
ზღვიდან ქარი წამოვიდა
და ღრუბელი ბუნდრათ,
ცაში ელვა შეიკლაკნა,
შენკენ შემობრუნდა.
ქარის ეშვებს, მეხის ბრეშას,
შენი მოთხრა უნდათ!
ყინვის კარჩხი თვალს გიკაწრავს,
ლაჟვარდს ველარ უმზერ,
წვიმის შუბი გალესილი
გიკაკუნებს გულზე.
მზე შემწველი, ცოფიანი
ხრჩოლათ აგაბოლებს,
ტყავდამსკდარო, ნათხარო,
მარტოხეო ოლე!

მარტო ხარ და მარტო დგეხარ,
ძმა არა გყავს, დედა,
მარტი როხას შეგიკერავს
ზანზალებით ჩედს.
წვიმით ქოჩორს დაივარცხნი,
ღამის წვეთს
სვამ რძეთა...
მხიარული საკრავებით
გაზაფხულის ვარსკვლავები
შენს ტოტებზე სხედან,
ოქროსხმიან სიმღერაში
თვალს ხუჭავ და ჰხედავ,
შენზე მარტო არვინ არი,
შენზე უფრო მეტად,
ბალღამის და ცრემლის სვეტო,
შენ—ქცეულო ხეთა!

ვის გასცქერი, ვის მოელი,
ვისი გული გტკივა?
ვის მიახწევს შენი ხმები,
ვის კერამდე მივა
ვაჰ, თუ გზაში დაიღალა,
ვერ იარა სწრაფად,
ვაჰ, თუ კვირას ვერ მოვიდის,
ვერც გამოჩნდეს შაბათს!
თუ მოსწამლეს საყვარელი
შავი დარიშხანით,
და მის პერანგს აფრიალებს
გზაზედ ქარიშხალი!
წადი, ძებნე მეგობარი,
ვინმე წაიყოლე;
სხვა რომელი დაგიძახებს
მცირე სახელს—ოლე?

— ტყე გეძახის მწვანე მხრიდან,
თავქოჩორა ღელე;
ტყეს უნდიხარ დიდიხნიდან,
მიქნევს ათას ხელებს
ტყე გეძახის ახვეტილი
ფალავნების ჯარით,
როგორც ვაჟი არხვატელი,
შავს რკინაში მჯდარი!
— გეყო მხრებზე გეხვეოდეს
გამიღია კარი!
— გეყო, მხრებზე გეხვეოდეს
ეხოების ქარი!
მოდი ჩემთან, დაგაპურო,
არ გინახავს ხემსი,
მე აგიყვან ხელში, როგორც
ნაპოვნ ბატკანს მწყემსი!
მოდი, მოგცე,—გაგახარო,
ცოლი—მესაწოლე;
ოხერო და ნამეხარო,
მარტოხეო ოლე!

მაგრამ ციხენ იყურება
შენი ოქროს თავი,
კოშკებათ და ჯიხურებად,
მოჰქრის ღრუბლის შვავე,
მოჰქრის ცაში წასაყვანად.
აკიბული კიბე
გაიღება ალაყაფი,
ცა გაიხსნის ჯიბეს!
მზე მარჯანზე უწითლესი,
მოგეგება წინა,
დაგიკოცნა ყველა ფესვი,
გულზე მიგიწვინა!
დაგისივნენ ვარსკვლავები
დაირით და დოლით,
გაკვრევინეს სალამური,
გათამაშეს გოლი,
სთქვეს: ნურც გტკივა, ნურცა გცივა,
ნულარც აგათრთოლებს
ტოტზე ტოტით გადამხვეო,
მარტოხეო ოლე!

ოლე, ოლე, მე ლიახვზე
დაგინახე წამით;
შიგნიდამვე გამომწვარი
მარტოობის შხამით,
შიგნიშიგან დახლეჩილი
შრეებათ და კეცად;
ყორანისგან ჩაყეფილი,
მდგარი დასალეწად!
მაღლა ზეცა პრიალებდა,
ძირს კავკასის მთები,
დაკიდებულ არწივს ჰგავდი,
გაწყვეტილი ფრთებით.
გითხარ: რაშო მიჭედილო,
გასწერ, აიქროლე,
მარტოობის არტახები
გადახიე ოლე!
რომ სთქვა: გული თუ გტკიოდა,
ეხლა აღარ მტკივა,
რომ ლიახვის რძიან ქაფში
შემოცურდე ტივად.
რომ ქალაქში დაგინახო,
ხეთა წინამძღოლი,
რომ შეგასვა, როგორც ღვინო,
მე—ქარხნების ბოლი.

რომ გაგჩარხო და გაგთალო,
როგორც წმინდა ბროლი,
რომ შენ იყო ჩემს დარბაზში,
შუაბოძის ტოლი.
რომ გძელ ტივებს მოუძღოდე,
ხეთა წინამძღოლი!
მოდი ჩვენთან, ვიდრე მეხი
დაგკრავს,
აგაბოლებს;
ტყავ-დამსკდარო, ნათხარო,
მარტოხეო ოლე!

სტალინირი, 30 აგვისტო.

---

*) ოლე—მარტოხე.



პირველ რიგში: გ. ელენტი, პ. იაშვილი (...ისეთი ვაჟკაცური...), პ ჩხიკვაძე („ნაბიჯები"), ვ. გაფრინდაშვილი („ისრ ამი და..."), ტ ტაბიძე („რიონ-პორტი"), ბ. ლორთქიფანიძე, ს. შანშიაშვილი, ალ. მაშაშვილი [illegible], კ. კალაძე (აჭარის მთა-
ზე), კ. ნადირაძე, გ. ლეონიძე, მის ზევით ს. კლდიაშვილი (ხელში — ურნა—„ფერფლი"-თ), ირ. აბაშიძე, მიხ. ჯავახიშვილი, ნ. ზომლეთელი (ზის), ს. თოდრია (ლმერთით), ალ. გომიაშვილი, გ. კაჭახიძე, გ. მუშნიკაშვილი (ყბაახვეული), დ. დემეტრაძე,
ქვევით: ი. მოსაშვილი, ალ. სულავა, ქვევით: შ. დადიანი, პ. სამსონიძე („სალტე"), ფ. ნაროუშვილი (ჭავჭავაძის სურათთან), ს. ფაშალიშვილი, ს. გრიშაშვილი, ი. არსენიშვილი, დ. შენგელაია („დამკვრელი"), რ. გვეტაძე („პიაკოკონა"), გ. რუხაძე, ბ. ხა-
ყვარელიძე, ს. ეული, მარიჯანი, ბ. ხიმინეიშვილი, ა. ქუთათელი და შ. რადიანი (სხედან კუზზე), ლ. ქიაჩელი, გ. ტაბიძე და გ. ქუჩიშვილი (ხელგადახვეულნი), ნ. ციციშვილი („ოთხი მაუზერი"-თ), ს. ჩიქოვანი („ხევსურული ძროხა"), კ. ლორთქიფანიძე
(პირით სოფლისაკენ), ნ. მიწიშვილი („ერთხმად"). ხეზე—კ. გამსახურდია, ს. აბაშიძე („გაბზარული სარკე"—ყბებს მარსს). ტოტზე სხედან — ს. [illegible] და დ. ახათიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორის ჩხეიძე

ჯავშნოსნების მშენებლები

ქუხდა ზარბაზნები მთელი დღე. ცაზე ღრუბლები ტყვის უფერო მასსებივით ეკიდენ და აწვა ბუნებას, ჯანყსა და სროლაში დაღამდა, ჩამოემატა ნისლიც. მაგრამ ეს სიბნელე ჯარისკაცებს ურჩევნიათ მზით გაჭათქათებულ კარპატის ველებს და მთათა გრეხილებს.

თანდათან წყდება ორივე ბანაკიდან სროლა. ალბათ ნიშანს ველარ იღებენ. შორს სივრცეში ფრიალებენ მაშხალები. მზვერავები ამზადებენ ხვალისათვის მოედანს, სადაც ადამიანები გაანაღდებენ სიკვდილსა და სისხლს. ხვალამდე კი ბევრი იქნება ცოცხალი. ხვალამდე დრო აქვთ ჯარისკაცებს სიჩუმეში იხუმრონ და თავისუფლად იფოთარონ ხელები უბესა და ტანსაცმლის ნაოჭებში. უხეშ და გაყუყვებულ თითებით ძებნონ და სრისონ მუქანი ტილები.

შუაღამის დაისზე, სანგრებში ახალი ჯარისკაცები ჩამოემატენ. უხმოდ ეწყობოდენ თხრილებში და ხელი თიხის ბორცვებს იკეთებდენ თხრილის პირზე. დიმიტრიმ, ისინი, მხოლოდ იმისათვის შენიშნა, რომ ეს ახლად მოსულები გამოუცდელად ეწყობოდენ სანგრებში.

— ხვალ, თქვენ! პირველნი დაიხოცებით, იქნებ განთიადსაც ვერ მოესწროთ!

მიაძახა მან.

— ეშმაკმა წაგიღოს, რადა პირველ დღესვე.

მოისმა ხმა სიბნელეში. —

— აქ, სულ გარეთ ვყრივართ ამოდენი ხანია და ერთი ეშმაკიც არ მინახავს, ჩვენთვის მათ არაფერი დაუკლიათ, რომ ადამიანები არ გადაგვეკიდებოდნენ. მაგრამ ამას თავი დავანებოთ ამხანაგებო, პური თუ მოგიტანიათ გვაჭამეთ. სიცოცხლეს კიდევ კარგად გაუფრთხილდით. არ ყოფილა ჯერ კიდევ კაცი, რომელსაც სიკვდილის შემდეგ ეშოვოს სუნთქვა. ბეგში ჩაეკარით და მაგ თავებს ნუ ახავსავებთ მაღლა.

უთხრა კიდევ დიმიტრიმ და ფორთხვითა და კუზვით წავიდა მათკენ, კითხა:

— ვინა ხართ, ქუთაისის ანუ თბილისის გუბერნიიდან?

— არავინ!

— მაშ საიდან? —

— ნიკოლაევიდან!

— ოჰ, ალბად მოსავლის აღებას დაესწარით.

— სრულებითაც არა, ამხანაგო! ჩვენ ყველანი ქალაქელები ვართ. მუშები!

დიმიტრი ჩაფიქრდა. ქუდი მოიხადა, დიდ ხანს იბურძგნა ქოჩორი. თითქოს ჰაერი უნდოდა მიეშვა გონების გასანედლებლად კეფის კანამდე.

— აქ ხომ არავის იცნობთ?

— ერთ სულდგმულსაც!

— არა, თქვენ იცნობთ ვისმეს. მხოლოდ იმისათვის, რომ ქალაქელები ყოფილხართ და მუშებიც.

— რას შემოგვიჩნდი!?—მიუგო ერთმა რუსმა და კისრის მოქნევით გაბედა.— შენ საიდაური და ხარ?

— ქუთაისის გუბერნიიდან, ჭიათურელი.

— იქ რა საწარმოა?

— იქ? მარგანეცი! ტუნელებია, მადანი იჭრება.

— ჰო, ვიცი,—თქვა ერთმა. მარგანეცს კიდევ ნიკოპოლში იღებენ. მე იქ მიმუშავნია. და ჭიათურაც იმიტომ გამიგონია. ჩვენებური, არამავირელი მედროვეები მუშაობდენ კიდევ იქ, ჭიათურაში. თქვენ კი ველარ იცნობთ აქ? ჩამოთვალეთ და გვითხარით, ან ოფიცრები როგორები გყავთ?

— ოფიცრები? ისეთები არიან, როგორც ქალაქში გინახავთ. ზოგ შემთხვევაში უფრო ლმობიერები. ერთ მათგანს არ გაუ- [illegible] კაცს გული აქვს, როგორც გული.

ვიღაცამ გადაიხარხარა. იმავემ კითხვა განაგრძო.

— კიდევ ვინ არიან?

— კაჩეტკოვი კარპო მოჰკლეს, შავგულიძე და სხვა ამხანაგები კი იქვე ზიან სანგრებში.

ტანსაცმელს იხილავენ.

სიბნელეში ვიღაცამ ხელები გამოწია, რაღაცას აბურთავებდა.

— აჰა აქ პურია და შაქრის ნატეხები.

დიმიტრიმ ხელად ჩამოართვა, ძრო მოაგლიჯა და პირი გამოიტენა, გამოეშურა.

— ამხანაგო! შავგულიძეს უთხარ აქ მოვიდეს. მხოლოდ ცოტა ჩქარა. თუ გითხრას, შენც გამოყევი.

— ეხლავე! დიმიტრი ფორთხითვე გაბრუნდა და სიბნელეში გაქრა. დარჩენილებმა ყუბი დაიკავეს ხელში და ღეღნიდენ.

— სულ რამდენიმე წუთის შემდეგ მოვიდენ დიმიტრი და შავგულიძე. რუსები ისევ პურს ღეჭავდნენ.

ზოგი მიწას მიხუტებოდა.

სალამის შემდეგ, ერთმა რუსმა და შავგულიძემ რაღაც სიტყვები წარმოსთქვეს. ეს იყო პაროლი პარტიულ ამხანაგების და გაიმართა მეგობრული საუბარი. სიხარულისაგან დაბნეული ძლივს ბლუყუნებდა გრიგოლ შავგულიძე.

—მაშ, თქვენ ნიკოლაევიდან ხართ ამხანაგებო? კეთილი და პატიოსანი, აქ რად წამოსულხართ. ზღვის ბრძოლა თუ გადაწყდა, ალბად ომიც იქნებ გათავდეს ჩქარა.

— როგორ? ზღვა რა შუაშია?

მოუთმენლად იკითხა დიმიტრიმ.

— ჩვენ. დიახ, ნიკოლაეველები ჯავშნოსნების მშენებელი მუშები ვართ.

გაიმეორა კიდევ ერთმა.

— მაშ, როგორც ეტყობა, ჯავშნოსნები აღარაა საჭირო.—თქვა ისევ დიმიტრიმ, მაგრამ პასუხი მაინც ვერ მიიღო. ისევ შავგულიძე ჩაერია.

— ამხანაგებო, დიმიტრისთან თავისუფლად, ჩვენია, პროფესიით მემანქანე, განაგრძეთ ამხანაგებო რა ამბავია?

— მაშ, კარგი — დაიწყო იმ რუსმა, რომელმაც პარტიული პაროლი იცოდა. ვაშენებდით ჯავშნოსნებს. შემდეგ გავიფიცეთ. ამისათვის ყველას ფრონტზე გვიკრეს თავი. ჩვენს ალაგას კი სხვები დააყენეს.

— მერე რატომ არ ააშენეთ, იქნებ ჩქარა ექნებოდა ბოლო ამ სისხლს.

მოუთმენლად და სიჩქარით ჩაურთო ისევ დიმიტრიმ გაკვირვებული კიდევ მით, რომ ნიკოლაევის ქარხანაში არც ისეთი დაბალი ხელფასი იყო, რომ მუშებს გაფიცვა გამოეცხადებიათ.

— ომი ერთი დათავდება, მეორე დაიწყება, ვინ გითხრა, რომ ეს ჩვენი ოფიცრობა ომს დაათავებს. გარეთ თუ გამოუღიათ, შინაც აქვთ ხალვრელი სისხლი. და შენ კიდევ ამხანაგო დიმიტრი არ გცოდნია, რომ ჩვენ მარტო ხელფასი არ გვაინტერესებდა, როდესაც ვფიცებოდით.

რას მიქვია ხელფასი, წყალს წაუღია იგი, თუ კი მუშებს ამოსაჟლეტ მანქანას აშენებინებენ.

ცეცხლად შემერგოს, თუ კი მუქთათასთვის ვიმუშავებ. ჯავშნოსანს რომ ვაგებდით — ვაგებდით ვიღაცის გამდიდრებისათვის და ჩვენსავით მუშების ამოსაჟლეტად. ჩვენ კიდევ ძმაო არ გვინდოდა ვინმეს გამდიდრება და არაფერ შუაში ადამიანების ამოჟლეტა.

ჩვენ, ძმაო, მუშები ვართ. ვიმუშავებთ მშიერები, მუშაობის გარეშე, როგორი ვიქნებით, არც კი ვიცი, მაგრამ მაშინ ვიმუშავებთ, თუ კი ბურჟუაზიის ამოსაჟლეტ რამეს აგვაგებინებენ. სიცოცხლეს შევწირავთ, თუ კი მუშების ქვეყნის დასაცავ ჯავშნოსნებს აგვაგებინებენ. მაგრამ სადა გვაქვს მუშების ქვეყანა? არა გვაქვს. გვაგებინებენ ჩვენისთანავე მუშების ამოსაწყვეტად ჯავშნოსნებს. არ გვინდა ეს. ჩვენ ძმაო — ჩვენი ხელისუფლება გვინდა. აქაც კი ვიბრძოლებთ ამისათვის, როდესაც ტყვია წინიდან მოდის. მოველით კიდეც, რომ ტყვია ზურგიდანაც დაგვაყარონ, მაგრამ არაფერია — უნიშნოდ არ გავწყდებით.

დიტო გაკვირვებული იყო, შავგულიძე მხოლოდ უსმენდა. ხანდახან შეხედავდა დიმიტრი გრიგოლს, რომელმაც ამხანაგის საყვედურიან თვალებში ამოიკითხა. „მაშ, შენ იცოდი ეს ამბები გრიგოლ და არ მეუბნებოდი? ო.

გვიან, ღამით, როდესაც მაშხალები შეწყდა და როდესაც ალბად, „მტერმაც“ არჩია დაძინება და განთიადის ვარსკვლავიც ციმციმდა დიმიტრი და შავგულიძე ბრუნდებოდენ თავიანთ თხრილებში.

— დიმიტრი, შენ გული გწყდება, რომ აქამდე არაფერი გითხარი, იმაზე, რაც ნიკოლაეველებმა ილაპარაკეს?

— დიახ, დამწყდა.

— უბრალოდ და ტყვილად — ჩემო დიმიტრი. მე განგებ არა გითხარი რა. ზოგიერთი სინამდვილე და ფაქტები თვითონვე უნდა გაარკვიო, როგორც შენი ხუთი თითი, დასკვნებიც უნდა გამოიტანო. ჩვენ ჭიათურაში გაფიცვას ვაწყობდით, იგი მარტო ხელფასის მომატებით არ განისაზღვრებოდა. ჩვენ გვინდოდა და გვინდა მთელი სახალხო ქონება. ჩვენვე მოუარათ მას. ჩვენვე მოვაწესრიგოთ ხელფასი. ესე იგი, სათავეში ჩვენვე დავდგეთ, მუშები. ნიკოლაეველებმა ისევ ჯავშნოსნები აშენონ, მაგრამ ჩვენი ქონების და მუშათა ხელისუფლების დასაცავად. გადაჭარბებითაც ვიტყვი, თუ ზედმეტად არ მოგეჩვენება— დასამყარებლადაც.

ჩვენ ვთხაროთ მადანი ჩვენივე სახალხო ქონების ბარაქად. აი რას ითვალისწინებდა ჩემო დიმიტრი ჩვენი გაფიცვა.

ჩვენ წინ ვისვრით ტყვიას, როცა იგი ზურგისაკენ არის გასასროლი. რა შუაშია კარპატელი გლეხი, ანუ გუშინდელი ჩვენ, რა დაუშავა კარპატელმა გლეხმა? მას სულ ორი ძროხა ყოლია და პატარა ქოხი ქონია. ვინ იცის, წელიწადი ისე გადის, რომ კარტოფილის მეტს გემოთაც ვერაფერს ნახავს.

ჩვენ გული გაუპეს, აბა მითხარი, თუ ძმა ხარ, რა დააშავა? იქნება ისიც მალარის მუშაა. იქნება ისიც ისეა გაფიცული, თავის „სამშობლოს“ ჯავშნოსანთ საშენში, როგორც ჩვენი ნიკოლაეველი რუსები.

მათაც და ჩვენც ორივეს საერთო მტერი გვყავს, ეს მტერი ბურჟუაზიაა. და აი ვის უნდა მიუშვიროთ ლულა და ხიშტი, ყუმბარა და ჯავშნოსანი, მკლავი და გონება, სიცოცხლე და სიკვდილი.

ახლავე უნდა მოიქცენ ისინიც ვინც ჩვენ გვესვრიან იქითა მხრიდან, ვენგრიელები, ჩეხები, გერმანელები და თურქები.

ახლაც მოიქცევიან, მაგრამ რაკი ეს ჩვენ მათზე ადრე ვიცით, ჩვენ უნდა დავიწყოთ. ზურგისაკენ უნდა მიუტრიალოთ იარაღი და სხვა სახელმწიფოების მუშები ჩვენ თუ არ დაგვეხმარებიან, ტყვიას მაინც არ გვესვრიან.

— მესმის გრიგოლ, გარკვეულია. მაგასვე ვგრძნობდი, მაგასვე ვფიქრობდი. მაგასვე ვხედავდი. მაგასვე ვაკეთებდი. ტყვია მაღალი ნიშნით ამომქონდა, რომ სადმე შორს მოხვედრილიყო. ხშირად მიფიქრნია თოფი ზურგისაკენ მოვატრიალო, უკუღმა ჩავჯდე სანგარში და ვისროლო, მაგრამ, ეს ცოტა სხვანაირად უნდა მოხდეს. ჩვენ ყველანი ერთად, საერთო ღონით და ძალით. ჩვენც, ნიკოლაეველებიც, სხვანიც. მარტოს ისევე გასრესენ, როგორც კარპოს. ერთისაგან ნაძებარი სამართალი, თუ იგი რამე ორგანიზაციაში არაა შეხული — მთელში ერთი და ერთი მთლიანში.

— ჩვენ ეგ ორგანიზაცია გვაქვს. მეორე ინტერნაციონალიდან გამოყოფილი ბოლშევიკური ფრთა რუსეთის სოციალდემოკრატიული პარტიის.

— მაშინ ჩვენ მარტო მოქმედება და დაგვრჩენია.

— დიახ.

— მაშ მზადა ვართ? —

— მზად ვართ გრიგოლ. ისეთი კორიანტელი დავაყენოთ, რომ გაიგოს მეფემ მართლა და როგორი ბრძოლა იცის „მისმა“ ჯარისკაცებმა. ავატრიალებთ და ქვას ქვაზე დავამდუღებთ. მე ავტორიტაში გა[illegible] ვართ ხვალიდან პირველ [illegible] ნიკოლაეველებმა თავიანთი ნაშინი [illegible] სები თავიანთ მხარეზე იუჭდოთ.

— გავალებ იქ საქმის მოწყობას, ბიჭები დატენე როგორც ვაზნები, ერთი მინანება და ყველანი მზად.

— ჩემზედ იყოს!

— ამის შესახებ პასუხისმგებელი ვიქნებით. სადაც მე ვიცი ჯერჯერობით.

— სიცოცხლეს გენდობი გრიგოლ.

— შენ რევოლიუციას ენდობ და არა მე, დიმიტრი, ჩვენ გავხეთქავთ ამ ჩირქით და თელგამით სავსე გაბერილ ფაშვს.

ვარლამ ქურული

ზღვა

დაეშვა ცა და ფეხად ჩამოდის;
ცა ათქარუნდა თიბათვის თვეში.
წვიმს და შხაპუნობს ცა საღამომდის,
წვიმს და გარშემო თქრიალებს თქეში.

ელვის პრიალმა სივრცე გაკაწრა.
კოკისპირულმა ღრუბელი გაცრა.
ზღვა ეძგერება ნაპირებს მკაცრად,
ზღვამ ქარიშხალით ტალღები დაძრა..

და რამდენია მგზავრი ბედშავი
გემს რომ შეტირის იმედის ტეხვით!
ზღვა კი ღრიალებს,
თითქო ერთბაშად

თვალწინ დაკოდეს ცხრაასი ვეფხვი.
ქშინავს, დგრიალებს, ღმუის ველურად.
ჭავლით ჭალიკონს დაჯახებია.
ზღვა ღრიანცელმა ისე შებურა—

ირგვლივ შხეფი და წყალთა ხმებია.
ატალღებული, ღრმა და ვრცელი,
ღვრია, ქუში და მრისხანე არი.
ზღვა ღელავს ქაფად გადაქცეული,
ბორგავს და ბორგავს მოუსვენარი.

და საბრალოა მგზავრი, რომელიც
არ იცავს გემის უშიშროებას,
შორს სამშობლოდან ამინდს მოელის,
ან გამძაგებულ ზღვის მუდროებას.

ზღვის ბობოქრება გემს ვერ გაიტა,
მეზღვაურებშიც თუ არი გმირი,
წინსვლა ეძახის მამაც კაპიტანს,
რა-გინდ ბურუსმა შთანთქას ნაპირი.
რა-გინდ იდელგმო ავდრიანობავ,
რა-გინდ ჭექა-ჭექ გავარდეს მეხო,—
ისე გრიალებს ჩემი თაობა,
როგორც ვულკანის პირველი ეხო.

1931 წელი.

ვარლამ ჯრუხაძე

აგარის შაქრის ქარხანა

იქ, სად სადგური იდგა აგარის
ობლად და ყვინთი გუდაიდა მგზავრებს,—
ეხლა ქარხანა გრგვინავს შაქარის
და გულს სიამის ემბაზში ავლებს!

იქ, სადაც მხოლოდ ჰქიოდა ქარი,
დაფარფატებდა ყვავი ქანებით, —
ეხლა ბუღრაობს ფოლადის ხარი
და ბიბინებენ ჭარხლის ყანები!

იქ, სადაც მოლი ეგო სათუთად,
არსჩნდა მინდორზე ერთი კარავი, —
ეხლა შეჯიბრი არის სართოლთან
და მოძრაობა დაუღალავი!

ქართული თეატრი და დრამატურგია

მეხუთმეტე წლისთავისათვის

პროლეტარული რევოლიუციის წინა-პერიოდში ქართულმა თეატრმა და დრამატურგიამ განსაკუთრებული დაცემა და დაუძლურება განიცადა. მენშევიკური „დემოკრატიის“ სოციალურ ატმოსფერაში თეატრალურმა ხელოვნებამ დაკარგა პროგრესიული სოციალური ღირებულება, იგი გამოიფიტა იდეურად და გადაიქცა მეშჩანურ - წვრილბურჟუაზიული აუდიტორიის ობივატელურ „გართობისა და დატკბობის“ კატეგორიად.

1922 წლიდან იწყება საბჭოთა თეატრის ისტორია საქართველოში.

ამ მომენტიდან დრამატიულმა ხელოვნებამ განიცადა ზრდისა და შეუჩერებელი განვითარების ისეთი ორგანიული პროცესი, რომელსაც იგი მოკლებული იყო ქართული თეატრის არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე.

კომუნისტური პარტიის პოლიტიკის მეოხებით შესაძლებელი გახდა არაპროლეტარული მხატვრული ინტელიგენციიდან თეატრალურ შემოქმედების მთელ რიგ უდიდეს ოსტატების, დიდი კვალიფიკაციის და შემოქმედებითი გამოცდილების მქონე ხელოვანთა ჩაბმა საბჭოთა თეატრალურ მშენებლობის საქმეში (რეჟ. **კოტე მარჯანიშვილი** და სხვ.). ახალი შემოქმედებითი უნარით და ენერგიით ამოქმედდა აგრეთვე პროლეტარული ბანაკიდან — მუშათა კლასთან მხატვრული თანამშრომლობის პოზიციებზე გადმოსული თეატრალურ მოღვაწეთა შედარებით ახალგაზრდა თაობა, რომელიც ნაკლებად იყო დატვირთული წარსულის მხატვრული ტრადიციებით (რეჟ. ალ. **ახმეტელი** და სხვ.). მაგრამ საბჭოთა თეატრალური მშენებლობის ძირითადი დასაყრდენი ძალა იმ მსახიობთა ახალგაზრდა კადრებისაგან შესდგა, რომელთა მხატვრული ფორმაცია და შემოქმედებითი განმტკიცება უმთავრესად საბჭოთა საქართველოს პირობებში ხდებოდა და ამიტომაც მათთვის მუშათა კლასის კულტურულ ტენდენციებთან დაახლოვება და ამის შესაფერი მხატვრული კულტურისათვის ბრძოლა შემოქმედებითი არსებობისა და საქმიანობის ერთად-ერთ გზად გადაიქცა.

დროის შედარებით მცირე მანძილზე ქართულმა თეატრმა განვლო რეკონსტრუქციის მეტად რთული და მრავალფეროვანი გზა. საბჭოთა თეატრის მშენებელთა ინტენსიური ბრძოლისა და მუშაობის შედეგად, ოქტომბრის მე-15 წლისთავისათვის ქართული თეატრი უკვე წარმოადგენს საერთოდ საბჭოთა თეატრალური კულტურის ერთ-ერთ მოწინავე უბანს და სდგას ჩვენი ეპოქის თეატრალური ხელოვნების საუკეთესო მიღწევათა სიმაღლეზე.

საქართველოს საბჭოთა თეატრალური ხელოვნების საუკეთესო მონაპოვარს წარმოადგენს ორი დიდი პროფესიონალური თეატრი. (რუსთაველის თეატრისა **ა. ახმეტელის** ხელმძღვანელობით და რესპ. სახალხო არტისტის **კ. მარჯანიშვილის** ხელმძღვანელობით არსებული თეატრის სახით), რომელთა წარმატებები უკვე ცნობილია არა მარტო საქართველოს მშრომელი მასებისათვის, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის პროლეტარული საზოგადოებრიობისათვის, რომლის მიერ ქართული საბჭოთა თეატრის შემოქმედება მიჩნეულ იქნა პროლეტარული დიქტატურის საუკეთესო მიღწევათა რიგში — თეატრისა და საერთოდ იდეოლოგიის ფრონტზე.

უკანასკნელ წლებში რუსთაველის თეატრის რეპერტუარი უმთავრესად საბჭოთა რეპერტუარით განისაზღვრა. საბჭოთა დრამატურგიის ზრდამ და რეჟ. **ალ. ახმეტელის** მეთაურობით შეკავშირებული კოლექტივის ექსპერიმენტალურმა მუშაობამ თეატრი მტკიცედ დააყენა საბჭოთა ხელოვნების მშენებელ მხატვრულ ერთეულთა მოწინავე რიგში. ისეთი დადგმები, როგორიცაა „რღვევა“, „ანზორი“-, „ლიანდაგი გუგუნებს“, „ქართა ქალაქი“, „სალტე“ და სხვ., უკვე გარკვეულ იდეოლოგიურ მიმართებას აძლევს თეატრის შემდგომ განვითარებას და მოწმობს თეატრის შემოქმედებითი პოტენციის სიძლიერეს და მხატვრული საშუალებების მაღალ კვალიფიციურობას.

თეატრის ყოველი ახალი დადგმა წარმოადგენს ბრძოლას საკუთარი შემოქმედებითი მეთოდისათვის. ძირითადში თეატრის მუშაობა განსაზღვრულია სოციალისტურ მშენებლობაში მონაწილეობის ტენდენციით და მუშათა კლასის მსოფლმხედველობის დაუფლებისა და შემოქმედებითი პრაქტიკაში გამოყენების ცდებით.

აგრეთვე თვალსაჩინო მიღწევები და წარმატებებით ხასიათდება სახალხო არტისტის **კოტე მარჯანიშვილის** ხელმძღვანელობით არსებული თეატრის მუშაობა. თუ ისეთ დადგმებით, როგორიც არის „ურიელ აკოსტა“, „ჰოპლა“ და სხვ., თეატრმა გვიჩვენა თავისი მხატვრული კვალიფიკაციის უმაღლესი ხარისხი და ძლიერ შემოქმედებითი უნარი, დადგმები: „პური“, „ფოლადის პოემა“, „მუნჯები ალაპარაკდენ“ და სხვ—თეატრმა საგრძნობი მიღწევები მოიპოვა მის პრაქტიკაში შემჩნეული ესთეტიზმისა და ფორმალიზმის დაძლევის ხაზით და საბჭოთა თემატიკაზე მუშაობის გზით თავისი შემოქმედება დაუკავშირა სოციალიზმის მშენებელი კლასის მიზნებსა და ამოცანებს.

ორივე დასახელებულმა თეატრმა აღზარდა სცენიური ხელოვნების მუშაკთა ძლიერი კადრები და განამტკიცა საქართველოში სოციალისტური ეპოქის შესაფერი თეატრისათვის ბრძოლის აუცილებელი წინამძღვრები.

რესპ. ძირითად სამრეწვ. და ადმინისტრ. სარაიონო ცენტრებში ჩამოყალიბდა პროფესიონალური თეატრები, რომელთა მუშაობაც წარმოადგენს უდავოთ ძლიერ ფაქტორს მშრომელი მოსახლეობის იდეურ-პოლიტიკურ აღზრდის საქმეში.

მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ქუთაისის თეატრი, სადაც გაერთიანებულია საბჭოთა თეატრალური კულტურის პროგრესიულ ტრადიციებზე აღზრდილი ახალგაზრდობა, რომლის ყოველი დადგმა ლაპარაკობს კოლექტივის იდეურ-მხატვრული დონის შეუჩერებელი ზრდის შესახებ. უეჭველია ეს თეატრი უახლოეს მომავალში დადგება ჩვენი თეატრალური კულტურის მოწინავე ერთეულთა რიგში.

აგრეთვე დიდი წარმატებებით აღინიშნება თელავის და ჭიათურის სახ. თეატრების მუშაობა.

საგრძნობლად გაიზარდა და განმტკიცდა მოზარდ მაყურებელთა თეატრი. ტფილისსა და ქუთაისში ჩამოყალიბდა მუშაახალგაზრდობის თეატრები, ფართოდ გაიშალა თვითმოქმედ თეატრალური ხელოვნების ქსელი და შეიქმნა მცირე ფორმების რამოდენიმე თეატრალური კოლექტივი.

საბჭოთა თეატრის ასეთი განვითარების და განმტკიცების პროცესში აღმოცენდა და განვითარდა ქართული საბჭოთა დრამატურგია. თუ პროლეტარული ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ქართული დრამატურგია ლიტერატურული ფრონტის მემარჯვენე სექტორის წარმომადგენელთა შემოქმედებით განისაზღვრებოდა (**გრ. რობაქიძე, ს. შანშიაშვილი** და სხვ.), უკანასკნელ ხანებში ამ ფრონტზედაც წამყვან და მოწინავე ძალად პროლეტარული მწერლობა იქცა.

ახალგაზრდა პროლეტარული პოეტი **კარლო კალაძე** უკვე სამი პიესის ავტორია. მისი პირველი დრამატურგიული ნამუშევარი „როგორ“ გაშლილია რევოლიუციონერ ბრძოლების ისტორიულ თემატიკაზე. მიუხედავად დრამატურგიული ხერხების სიმარტივისა და ნაწილობრივ გულუბრყვილობისა, პიესა წარმატებით იდგმებოდა რამოდენიმე წლების განმავლობაში და დღესაც რჩება რეპერტუარში, რაც თავისთავად მოწმობს პიესის ღირსებას. გაცილებით უფრო აქტუალურ მასალაზეა აგებული მისი მეორე პიესა „ხატიჯე“, სადაც ავტორმა გამოიჩინა უკვე ტიპაჟის რელიეფური გამოკვეთისა, სიტყვიერი მასალის დამუშავების და სიუჟეტის ოსტატურად აგების უნარი. შედარებით სუსტი ნაწარმოებია პიესა „სახლი მტკვრის პირად“. აქ ავტორმა ვერ დაძლია საბჭოთა კომედიის შექმნის ცდა. მიუხედავად ამ „მარცხისა“ კალაძე პირველი ორი ნამუშევრით ახალი საბჭოთა დრამატურგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძალად რჩება, რომლისაგანაც კიდევ ბევრს მოელის საბჭოთა თეატრი.

დრამატურგიის დარგში მუშაობენ აგრეთვე პროლეტპოეტები **ალიო მაშაშვილი და პეტრე სამსონიძე**. მათ მიერ მოცემული პირველი დრამატურგიული ნამუშევრები (განგაში“ და სალტე“) გვიჩვენებენ, რომ ავტორები თავიანთ მუშაობას ამ ხაზით მთლიანად განსაზღვრავენ სოციალისტური მშენებლობის თემატიური მასალით, რომ ისინი მახვილი ხედვით უდგებიან აქტუალურ მასალას და იძლევიან გამძაფრებული კლასობრივი ბრძოლის გამომხატველ დრამატურგიულ ტილოებს.

ცალკეული შეცდომებისა და ნაკლოვანებათა მიუხედავად, ეს ორივე პიესა პროლეტარულმა აუდიტორიამ მიიღო, როგორც მისთვის დღევანდელ ეტაპზე საჭირო და სასარგებლო მხატვრული ნაწარმოებები. ამ პიესების დადგმამ საგრძნობლად ხელი შეუწყო რუსთაველის თეატრის იდეურ-პოლიტიკური ხაზის განმტკიცებას.

ნაყოფიერ და მეტად სასარგებლო მუშაობას ეწევა დრამატურგიის ფრონტზე **გ. ბუხნიკაშვილი.** უკანასკნელ დრომდე იგი უმთავრესად საკლუბო და სასოფლო თეატრების რეპერტუარზე მუშაობდა, ამ მხრივ ავტორის მიღწევათა მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ მთელი რესპუბლიკის მასიური თვითმოქმედი თეატრალური ხელოვნება და სოციალისტური რეკონსტრუქციის გზაზე დამდგარი სოფლის სცენა უმთავრესად ბუხნიკაშვილის პიესებით საზრდოობს. ამ მხრივ გ. ბუხნიკაშვილის შემოქმედებას მნიშვნელოვანი ადგილი მიეკუთვნება მასიურ-სანახაობითი ხელოვნების განვითარების საქმეში.

უკანასკნელ წლებში ბუხნიკაშვილი ამუშავებს უკვე ფართო დრამატურგიულ ტილოებს, ამ მხრივ აღსანიშნავია მისი „ხანძარი“ და განსაკუთრებით ახალი პიესა „მთები ინგრევა“, რომელიც გაშლილია პრიმიტიული კულტურისა და ნატურალური მეურნეობის ფონზე. სოციალისტური მშენებლობის პროცესების ასახვისა და ამით გამოწვეულ გარდატეხათა ჩვენების მასალაზე.

ქართული საბჭოთა დრამატურგიის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს **პ. კაკაბაძის** „ყვარყვარე თუთაბერი“ წარმოადგენს. პიესა აშენებულია კლასიკური კომედიის პრინციპებით, დიდის ოსტატობით დამუშავებული სიტყვიერი მასალა, მდგომარეობებით მიღწეული კომიზმი, მკვეთრად მოხაზული ნიღბები და სიუჟეტის მოხერხებული განვითარება, ამ პიესას აყენებს პირველხარისხოვან დრამატურგიულ ნაწარმოებთა რიგში. ამჟამად ავტორი მუშაობს ახალ პიესებზე, სადაც იგი პირველად სცდის თავისი დრამატურგიული უნარის აქტუალურ თემატიკაზე მომარჯვებას.

სოციალიზმის ძლევამოსილი ზრდის ნიადაგზე ძველი მხატვრული ინტელიგენციის მუშათა კლასის მხარეზე გადმოსვლის პროცესმა თავისი გამოხატულება პოვა დრამატურგიის დარგშიაც. მუშათა კლასის იდეებით ამოძრავებული სოციალიზმის მშენებლობის მასალებზე გაშლილი დრამატურგიული ნაწარმოებები მოგვცეს ქართული დრამატურგიის ისეთმა წარმომადგენლებმა, როგორიცაა **გრ. რობაქიძე, შალვა დადიანი და სანდრო შანშიაშვილი.**

რობაქიძის „უდეგა“ შანშიაშვილის „სამნი“, „ყამირი“ და „ანზორ“ (გადმოკეთებული) შალვა დადიანის „თეთნულდი“ მაჩვენებელია იმის, რომ ავტორები ცდილობენ გაიგონ სოციალისტური დღევანდელობის ტენდენცია და მოგვცენ მისი მხატვრული განსხეულება.

ბუნებრივია, რომ მათი მხატვრული ტრადიციების და უმთავრესად ანტიპროლეტარული იდეოლოგიის ტვირთი ავტორებს ხელს უშლის ორგანიულად მიუდგენ ახალ მასალას და იგი მუშათა კლასის მსოფლმხედველობით განასახიერონ.

რობაქიძის „უდეგაში“ სოციალისტური ინდუსტრია მოცემულია სქემების საშუალებით და მისი სოციალისტური ტენდენციის მიჩქმალვით. „სამნი“ სათანადო სიღრმით და სიძლიერით ვერ ასახავს ამიერკავკასიის ხალხთა სოლიდარული ბრძოლის ეპოპეას. „თეთნულდში“ ავტორმა სწორად ვერ მოგვცა სვანეთში სოციალისტური მშენებლობით მიღწეული ძვრები და ძალთა ახალი განწყობილება.

მიუხედავად ამისა ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ჩამოთვლილი ნაწარმოებები უთუოდ შედიან საბჭოთა დრამატურგიის აქტივში, რომელთა ავტორების კვალიფიკაცია და მათი გულწრფელი სურვილი იძლევა გარანტიას, რომ მარქსისტული კრიტიკის სწორი მიდგომით და დახმარებით ისინი შესძლებენ სასარგებლო მუშაობას ამ ხაზით.

საბჭოთა დრამატურგების კადრს მიემატა ახალგაზრდა მწერალი **გერცელ ბააზოვი**, რომელსაც პირველმავე პიესამ „მუნჯები ალაპარაკდენ“ შეუქმნა საგრძნობი რეპუტაცია. ავტორმა ამ პირველსავე ნამუშევარში გამოიჩინა სიუჟეტის აგების ოსტატობა, ტიპების დამახასიათებელი შესრულების უნარი და აქტუალურ მასალაზე მუშაობის ტენდენცია. მიმდინარე სეზონის რეპერტუარში შეტანილია მისი მეორე პიესა „სავაი“.

ასეთი ზრდის მიუხედავად საქართველოს საბჭოთა დრამატურგიამ ჯერ კიდევ ვერ მოგვცა ჩვენი ეპოქის შესაფერი სიღრმით გამომხატველი ტილოები. ამ მხრივ დრამატურგიის ჩამორჩენილობა სოცმშენებლობის ტემპებისაგან კიდევ მეტად უფრო საგრძნობია, ვიდრე მწერლობის საერთოდ.

ამ ჩამორჩენილობის დაძლევა წარმოადგენს ჩვენი დრამატურგიული კადრების საბრძოლო ამოცანას, რომლის წარმატებით დაძლევისაგან დამოკიდებულია ქართული საბჭოთა თეატრის სოციალისტური რეკონსტრუქცია.

ნ. ბ.

მიხ. ჩიქოვანი

სწავლული ციფრები

ლეჩხუმის საზღვარი გორმაღლის მუხლთან იღევა. აქვეა სწორეთ ბარიტის წარმოების ცენტრი და სრულიად ახალი მუშათა ქალაქი, პირველი ხუთწლედის პირმშო შვილი, წიფლარი. რიონზე დაკიდებული საჰაერო გზით, მდიდარი მაღაროებით და ახალი მუშური მოსახლეობით.

ამ მთების გულში სდუღს სიცოცხლე და სოციალისტური შრომა. იქმნება მომავალი ცხოვრება.

ლეჩხუმი და მისი ცენტრალური სოფელი ცხუკუშერი იმერეთიდან ბარიტის წარმოებით იყოფა, სადაც ორი ათასზე მეტი მუშა მუშაობს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ აქ წარმოება იყოს განვითარებული. არა, ინდუსტრიალური შრომა ახლა იკიდებს ფეხს. სამთო-მადნო მრეწველობას მხარს აძლევს თეთრი ნახშირი, მსოფლიო მნიშვნელობის მარაგით; ენგურის, ცხენის-წყლის, რიონის ავჯამურის, შარეულის სახით.

აქაური კოლმეურნე გლეხი იმედიანი თვალით შესცქერის მეორე ხუთწლედს, რომელმაც ამ რაიონში საძირკველი უნდა ჩაუყაროს ელექტრომშენებლობის უდიდეს გიგანტებს.

დღეს, ოქტომბრის 15 წლის თავზე, ათეული და ოცეული ენტუზიასტი ინჟინერ-ტეხნიკოსები სინჯავენ ორივე მდინარის ხეობებს, ადგენენ პროექტებს, ზომავენ კლდეების სისქეს, რომ გვირაბებში მდინარემ გაიშხუილოს.

და, უნდა ნახოთ მაშინ ეს მთები, როცა მიწიერი ვარსკვლავები ტყიანებში აკიაფდება. როცა ენგური რიონს შეუერთდება და ფასის დაუდგრომელი შვილები ერთიანი ძალით საბჭოთა ტურბინებში დაიწყებენ ღრიალს.

მაშინ დასავლეთ საქართველოს ცაზე მოციმციმე შუქი ნათელს მოჰფენს ძვირფას კულტურათა პლანტაციებს კოლხიდის დაბლობზე, აამუშავებს შავი და ფერად მეტალურგიულ ქარხნებს. მოგვცემს ბრძმედებში გამოდნობილ თუჯის მილიონ ტონებს ქვიჩის, ჩათახის, დაშქესანის, ტყვარჩელის, ტყიბულის ნახშირისაგან მიღებულ კოქსის ბაზაზე. გვექნება ასიათასი ტონობით ელექტრო-თუჯი შავი ზღვის მაგნიტურ სილისაგან, ნახევარი მილიონი ტონა ფერომარგანეცი, შავი ქვის მადნების ელექტრო-შენადნობთა ხარჯზე, ათი ათასი ტონობით ლითონის ალუმინი ამდენივე ელექტრო სპილენძი, ამდენივე უძვირფასესი ელექტრო-ფერო-შენადნობები, მილიონი ტონობით კოქსი, ათი ათასობით აზოტი და ფოსფორის სასუქები, ფისის გამომხდელი წარმოება და მასთან ერთად შპალსაჟღენთი და კოქს-ბეზოლინის წარმოებები, შეიქმნება ლაქ-საღებავების უდიდესი კომბინატი ბარიტის მიდამოებში გაიშლება კარბიტის კალცის დამზადება, ლატერიტებიდან უძვირფასესი აყალო მიწის ცემენტის მიღება, მინის წარმოება. საბჭოთა კავშირს მოეფინება ათი ათასი ტონობით ინგურის [illegible] ქაღალდი და წარმოების ათასი სხვა სახე გახდება დიდი რიონის მკვიდრი მცხოვრები.

უნდა ნახოთ მაშინ ეს მთები, როცა 8 მილიარდი კილოვატი ძალა დაიწყებს ჩქეფვას. როცა „ზემო მტკვარი“ ახალციხის მთებს გადალახავს და მეგობრულად გადაეხვევა დიდი „რიონის“ ღირსეულ ვაჟებს და ქალებს.

დიახ, ეს რეალური პერსპექტივაა. რომელსაც ეს მხარე ულიმის, შენატრის და ელის.

მაგრამ დღეს, რით იჩენს ლეჩხუმელი გლეხი თავს. იგრძნობა თუ არა აღმშენებლობის სასიამოვნო გაქანება და რამდენად განსხვავდება გუშინდელი დღევანდელისაგან, გუშინდელით ვამბობთ ჩვენ რადგან (უკანასკნელ დღესავით გვახსოვს ყველა ის ტკივილები, რომლებმაც ჩვენს თვალწინ წეროებივით ჩაიარეს ამ მოკლე წლების განმავლობაში.

აი, საინტერესო კითხვები, რომლებიც შემომეჯარენ ცხუკუშერში მისვლისთანავე. ეს ერთი იმათგანია, ძველი ჩამორჩენილი, 1918 წელში პარტიზანელებმა რომ გაამაგრეს და მენშევიკ - გვარდიელებმა ყუმბარების ცეცხლში გახვიეს.

აგერ სოფელი, მივარდნილ ლეჩხუმის ცენტრალურ ადგილზე, მივყვეთ მის შარაგზებს და კვალდაკვალ ვიპოვოთ ფაქტები, თავისთავად რომ ლაღადებენ.

მივყვეთ ფეხდაფეხ ახალ ქვეყანას და ვნახოთ რა ჰქონია მას და რა აქვს.

⁂

მზემ „სასადილოზე“ შემოდგა ფეხი, როცა კოლმეურნეობების ეზოდან გამოვედი და ქიშკარი მივხურე.

ეს სოფელი დაფენებაზეა გაშენებული. ნიგვზის და ვაშლის ხეები ჰფარავს ღელეებისგან დახურულ ვიწრო შუკეებს. თემშარას მოკლე შემოსარები აქვს. გადავხტი სიმინდიან ეზოში და, როცა სოფლის თავზე ზეგანს გაუდექი, სუფთა ჰაერმა გულმკერდი დამიამა.

მარჯვნივ გაშლილი კავკასიონის მხარე. მუდმივი თოვლის ქედები. რაჭა და ქვემო სვანეთი. დაქლიავებული მთების კალთები და ვიწრო ფერდოებზე კიაფა ოდების სახე. რიონის და ცხენის-წყლის დახურული ხეობა, სად ძვირფასი ფიჭვის მორები კლდიან ლურლუცებში ყურყუმებს.

აქეთ ფვირიშის კლდეები ყურს უგდებენ აქაურ ნიაგარას, სად ჭაერში შეთამაშებული მღვრიე ტალღები, ძირს ბუსუსებით სცვივიან.

მთები და უხიდო კლდეები თავდაღუნული ჩასცქერიან იმ ადგილს, საიდანაც წყეულმა სტიქიამ ურჩინარი გახადა ექიმი და მისი მომყვანი... წინ, ჩემსკენ მომავალი ახალგაზრდა გამოჩნდა. დაბალი ტანის, შავთვალება, სახელად გერასიმე. გზა გადამეჭრა, ხელი ჩამომართვა და ხუმრობით წიფლის ძირში ჩამოვჯექით.

ამ ხის ძირში უჯრედის კრება გვქონია, ხოლო ამ მინდორში „წრე ბურთაობას“ ვთამაშობდით. შემდეგ კომკავშირელები სამხედრო მეცადინეობაზე ვიკრიბებოდით. ახლა აქ საკოლმეურნეო შვიდწლედი აუშენებიათ.

გერასიმემ ხელი გაიშვირა. მარჯვე კოლმეურნის მზარდობით მოხაზა ცხუკუშერის მხარე, რომლის მოსახლეობა ამ უკანასკნელად გასქელებულა. უკვე მზიართ და ვიკვლევთ პატარა სოფელს. რა იყო უწინ, რას წარმოადგენს ახლა!

ჯერ ქვედა კუთხიდან დავიწყეთ: ხუტაისანიდან ხუტალიეისანამდე, გოგისანიდან ძალოლიესანამდე; შემდეგ ჭვევით გადაუხვიეთ და მოვედით ისევ კენჭეხში, სადაც ახლად აგებული მშვენიერი სკოლა სდგას.

ამ დროს ჩვენ ხელთ აღმოჩნდა სწავლული ციფრები, რომელიც ცხუკუშერმა გაათამაშა ამ ხუთმეტოდე წლის მანძილზე, ოქტომბრის მზის ქვეშ.

აი, ორი ისტორიული დატა.

1921 წელი.

ცხუკუშერში არ იყო სკოლა. ბავშები დადიოდენ ლეჩრიშის გორაში და ნაკურალეში ნაბოგიერებით. საშუალო განათლება ჰქონდა 5-ს, უნივერსიტეტში არავინ სწავლობდა, წერა-კით. უცოდინარი და მც. მცოდნე 92 პროცენტზე მეტი იყო.

სოფელს ჰქონდა ერთი ეკლესია და სამი სამლოცველო—ელია, ისკელიტა და სხვამლები ნიგოზი.

ჰყავდა ერთი მღვდელი და ორი დიაკვანი (ერთი სამღვდლოთ ემზადებოდა). მღვდელ-დიაკვანს წირვაზე ხურჯინები დაჰქონდა, ხოლო სტაროსტას საზიდავად „პლატუქიც“ ჰყოლნიდა ემბაზთან ერთად.

სოფელი წელიწადში ერთხელ დღესასწაულობდა „მარიობას“. ყოველწლიურად „ხარებას“ შესაწირი იკვლებოდა.

იყო რამდენიმე დალაქი—ექიმბაში და შემლოცავი.

იყო მიწის ყიდვა-გაყიდვა. ნიადაგი ეკლებოდა ღარიბ გლეხობას. „კანცელარიაზე“ იდგა მამასახლისი და როგორც გაბერილი ქორი გასაგლეჯათ დაჰყურებდა მიწაზე ძლივს მავალ მშრომელ გლეხობას.

1932 წელი, დამამთავრებელი წელი.

სოფელმა ფრთა გაშალა. დაარსდა სასოფლო-სამეურნეო არტელი, რომელშიდაც 48 მეურნეობაა გაერთიანებული. არტელმა განასაზოგადოვა სახნავ-სათესი მიწები, საწ. იარაღები, ააშენა საერთო ნალია, ბოსელი და სილოსის კოშკი.

არსებობს 4-წლედი—69 მოწაფით. თემმა აქ [illegible] კოლ. ახალგაზრდობის სკოლა. ამ სკოლაში 12 ცხუკუშერელი ბავში სწავლობს.

ამ სოფლიდან საშუალო განათლება მიიღო 11-მა, სწავლობს ტეხნიკუმებში —14.

უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა 5-მა, სწავლობს—4.

დაბალი განათლება მიღებული აქვს 15-ს.

წერა-კით. უცოდინარი 40 წლამდე არის 15. სოფელში სულ სცხოვრობს 541 სული, ქალი და კაცი, დიდი და პატარა.

არის წითელი კუთხე, მაგრამ წიგნები ცოტაა (ც.კ. უჯრედმა საქ. კომკავშირის 15 წლისთავთან დაკავშირებით დაადგინა შეიძინოს ახალი წიგნები).

გასულ წელს ცხუკუშერლებმა ეკლესია დაანგრიეს. მისი მასალით ააშენეს კოლმეურნეობის ბოსელი და კოოპერატივის შენობა.

სოფელში სცხოვრობს ორი ნამღვდელები. „მარიობას“ აღარ დღესასწაულობენ. სადღესასწაულო ხარჯი მეურნეობის გაძლიერებას ხმარდება.

სალოცავებიდან ჯვრები ჩამოხსნილია. სოფელში არაა არც ერთი ექიმბაში, საექიმო დახმარებას სათემო პუნქტიდან ღებულობენ.

სოფლის ახალგაზრდობას აქვს თავისი ცენტრი. ეს კომკავშირის უჯრედია, რომელმაც გამოზარდა რამდენიმე ათეული ენტუზიასტი და მისცა რესპუბლიკას.

ახალგაზრდები კოლმეურნეობის ნალიებთან იკრიბებიან, კრების დაწყებამდე ისმის მათი სიმღერა.

რაც მთავარია, ცხუკუშერლებმა პირი იბრუნეს საკოლმეურნეო მოძრაობისაკენ. არტელ „გლეხის იმედს“ ჰყავს 144 ნამდვილი მუშა ქალი და კაცი.

სოფელში სცხოვრობს 102 კომლი. მშრომელები 18 წლიდან სარგებლობენ საარჩევნო ხმის უფლებით, ირჩევენ დეპუტატებს სასოფლო საბჭოში და მტკიცეთ დგანან ლენინური კომპარტიის დროშის ქვეშ. —

აი, რეალური ციფრები, რომელიც ერთმა სოფელმა პარტიის ხელმძღვანელობით მოგვცა, ციფრები არ შეგვიგვრალებია არც შეგვიმცირებია, მხოლოთ გამოვაკელით გადაცვლილები, სადაც ჩვენი კარგი მეგობარი კომკავშირელებიც ერია კიტა დათიკო და დიანოზ სვანიძეები. — აი, რა საინტერესო ამბები მომხდარა. — სთქვა ამხანაგმა, როცა ანგარიშს მოვრჩით —ასეთი პროცესები ყველა სოფლებშია. საკმარისია ერთი სოფლის ძირიანათ შესწავლა და მისი განზოგადება, რომ ნათლათ დაინახოთ ის მიღწევები, რომელიც ოქტომბრის რევოლიუციის მეოხებით შექმნა მშრომელმა მასებმა. აი, რეალური ციფრები, მსოფლიო რევოლიუციაზე, რომ ლაპარაკობენ! თუ თქვენ ამას დასწერთ, კარგს იზამთ. ის დიდ სამსახურს გაუწევს მომავალ თაობას, რომელიც ამ მოვლენებს დიდი ხნის შემდეგ ინსტუიციით შეისწავლის. როგორც ხედავთ ამხანაგის თხოვნას უკვე ვასრულებ, ერთი განსხვავებით, სათაურს ვუცვლი და „სწავლულ ციფრებს“ ვარქმევ.

დავით სულიაშვილი

წყალტუბო

ქუთაისიდან წყალტუბომდე გზა აღმართ დაღმართით მიდის. ქალაქს გასცდები და მგზავრებით დატვირთული ავტომობილი ხრიალით, ზრიალით და კორიანტელით გაექანება დახლაკნილი გზატკეცილით. გორაკზე, როგორც ზღვის ტალღებზე, მისცურავს „სოიუზტრანსი“ და თვალი ვერ ასწრებს იმერეთის მრავალფეროვანი პეიზაჟით დატკბობას. აგერ სისწრაფით უკან რჩება აწეწვენებული გზა კოპწია აივნიანი სახლით, შორეულად, რომ მოსჩანს გვერდზე წაწრილ ქისკარს გასწვრივ. აგერ სარებით შემორაგული ვენახი, ყორეზე რომ ბროწეულის წითლად ეხნელილი ბერ,—ბავში პერანგის ამარა, ხბოს რომ ერეკება ეზოდან, შემოდგომის გაყვითლებული ფოთლები და ფერები, უამრავი ფერები... ზღაპრული ქვეყანაა იმერეთი შემოდგომაზე.

მიქროლავს ავტო და ჩქროლავს გული. ყველა ჩქარობს მალე დაინახოს წყალტუბო და გაიგოს, როგორია იგი—გაშლილი სოფელი თუ შეკუმშული, ტყიანია თუ მდელო; გორაკზეა თუ ფერდობზე: როგორია მოწყობილი თვით სამკურნალოს წყლები, როგორია ბინები და სხვა...

თვალი სივრცეს მისდევს. გრძელი ზეწარივით გაშლილ, დაკლაკნილ გზატკეცილის გვერდზე მალი - მალ მანძილის მაჩვენებელი პატარა ბოძები ჩაგვექროლებიან. უკვე გავიარეთ 9-10 11 ვერსტი და ავტომობილიც ჩაქანდა დაღმართზე. მალე ისევ აცოცდა გორაკზე და უცბათ დაბლობში თეთრი ბატებივით გაფანტული შენობები გამოჩნდა. „ეს არის წყალტუბო?“—ეკითხებიან მგზავრები ერთმანეთს. — „ეს არის, ეს“—მოისმის პასუხი.

აჩქარებული გული წყნარდება. ავტომობილი შენელებული მსვლელობით დაღმართს მიყვება. ახლა წყალტუბო გობში მომწყვდეულ ყვავილნარად მოსჩანს.

პირველად მგზავრის ყურადღებას იპყრობს პირდაპირ ფერდობზე გამეხებული ახალი, დიდი სასტუმრო — შენობა შვეიცარულ სტილზე. გზიდან მარჯვნით ახალი შენობები — კურორტის პოლიკლინიკა და სანატორიუმი, შემდეგ პატარა გორაკზე სოც. დაზღვევის დასასვენებელი სახლი, იმას იქით—ცაკის ორსართულიანი სახლი და კიდევ მრავალი ახლად დაწყებული შენობები — რკალივით გარს შემორტყმია სამკურნალო წყლებს. ძველი აბანოები მოკრძალებით დაბალ შენობებად ჩამდგარან დაბლობში, თითქო საიდუმლოებას წყლებისას გულმოდგინეთ იცავენო. აბანოების წინ, როგორც ფუტკარი სკასთან, ხალხი შეჭუჩულა.

წყალტუბო წინად

ყველაზე უძველესი კურორტი საქართველოში წყალტუბოა. იგი აღმოაჩინა გლეხობამ. შეიძლება ითქვას, რომ იგი დღევანდლამდე რჩება გლეხობის კურორტად. წყალტუბოს სამკურნალო წყლები გასაბჭოებამდე კერძო პირებს ეკუთვნოდა—და კულტურული დონე სამკურნალო წყლებით სარგებლობისა, ფრიად პრიმიტიულ მდგომარეობაში იყო. ავადმყოფები ჩადიოდენ ფიცრით შემოფარგლულ წყლის გუბეში და რჩებოდნენ შიგ რამდენიმე ხანიც მოესურვებოდათ. არ იყო არავითარი ექიმური თვალყურის დევნება, არც ბინები, არც სასტუმროები. ცხოვრობდენ ურმებით თან მიტანილ სახოვაგით.

გლეხობასთან ერთად კურორტზე დადიოდა მაშინდელი თავადაზნაურობა, სამღვდელოება და ინტელიგენცია, თუ გლეხობა მკურნალობასთან ერთად კურორტზე — ისვენებდა, აზნაურობა და სამღვდელოება მკურნალობას — დროს გატარებასა და ქეიფს უმატებდა. ასე მიმდინარეობდა აქ ძველი საქართველოს კურორტული ცხოვრება.

ახლაც არის აბანო, რომელსაც ეპისკოპოსის აბანოს უწოდებენ, „კუჭის წყალის“ გვერდზე. იქვე ყოფილა მისი მოსასვენებელი სახლი გრძელი აივნიანი ოთახებით და დაჩრდილული მწვანე ეზოთი. ამ ეზოს რომ გახედავ, თვალწინ წარმოგიდგება ძველი სამღვდელოების ცხოვრება — გამა „ბლაღოჩინები“, დეკანოზები და ღვდლები ჯორზე დატვირთული ხურჯინებით, რომელთაც გაგებული აქვთ ეპისკოპოსის ჩამოსვლა და მოდიან მასთან „მოსაკითხით“. ქეიფისა და დროს ტარების დროს სწყდება ბედი ღვდლების ადგილიდან მსუქან ადგილზე გადაყვანის, დეკანოზებისა და „ბლაღოჩინების“ წარმატების საკითხები და სხვ.

წყლებით მკურნალობის მხრივ მოსულები თავის თავს უვლიდენ ისე, როგორც მოეპრიანებოდათ,—არც აბაზანში ყოფნა იყო განსაზღვრული და არც ექიმისაგან მიღებული რჩევა-დარიგება. მიუხედავად ამისა, განკურნების შემთხვევები ხშირი იყო და ეს უთქვამდა სახელს კურორტს. მასიურად აწყდებოდა ზაფხულობით მას ხალხი.

წყალტუბო ახლა

ახლანდელი წყალტუბო სულ სხვა სურათს წარმოადგენს. აბანოები დახურულ შენობებშია მოთავსებული და მოწყობილია ახლებური დერეფანით, შესასვლელ-დასასვენებელი ადგილებით და სხვა. მართალია, წყალტუბო ჯერ კიდევ არ არის მოწყობილი ისე, როგორც თანამედროვე კურორტის მოთხოვნილებას შეეფერება. მაგრამ უკვე დამუშავებულია გეგმა და მალე კურორტი გახდება მსოფლიო მნიშვნელობის და ხარისხის სამკურნალო ადგილად.

წყალტუბოს მრავალ წყაროებიდან (სულ სამასამდეა *) ჯერ მხოლოდ ხუთი აბანო მოქმედებს კურორტის მოუწყობლობის გამო. გასაბჭოების შემდეგ აქ გაშენდა მრავალი შენობა. ქუთაისიდან წყალტუბომდე 1926 წელს გაყვანილი იქნა საავტომობილო გზატკეცილი. სოც. დაზღვ. კასამ ააგო დიდი შენობა — დასასვენებელი სახლი. შემდეგ წლებში შენდება ახალი სასტუმრო, კოოპსასადილო, პოლიკლინიკა, სანატორიუმი და სხვადასხვა შენობები ყველა აბანოები გადაკეთდა და ორიც ახალი მიემატა. პირველი ნომერი აბანო, ანუ „დიდი აბანო“, როგორც მას გლეხები უძახიან—მართლა ყველაზე დიდია. მის წინ გამართულია მშვენიერი პარკი, სადაც ზაფხულობით ხეების ჩრდილ ქვეშ თავს იყრის სამკურნალოდ მოსული ხალხი.

წყალტუბო უსათუოდ მსოფლიო მნიშვნელობის კურორტია. ასეთივე თვისების წყლები ევროპაში მხოლოდ ტეპლიც-შოუნაუშია (ეხლანდელი ჩეხო-სლოვაკია), ხოლო მაშინ, როცა წყალტუბოს აბანოები იძლევა მილიონ ნახევარ ვედრო წყალს დღე-ღამეში, ტეპლიცა-შოუნაუს სამკურნალო წყლები მხოლოდ სამას ათასს იძლევა.

წყალტუბოს ხუთივე აბანო ქიმიური თვისებისაა და მხოლოდ ორიოდე გრადუსის სითბოს მეტნაკლულოვანებით გაირჩევა ერთმანეთისაგან. მას არ ესაჭიროება არც გათბობა, არც გაგრილება. ავადმყოფი იღებს მას იმნაირს, როგორც ამოდის მიწიდან — უშუალოდ. მის უმთავრესს თვისებას შეადგენს რადიო-აქტივობა, რაც ძალიან კარგად მოქმედებს გულზე. ასე, რომ წყალტუბოს აბაზანები ერთსა და იმავე დროს ოგებს რევმატიულ ავადმყოფებს, ნერვიულებს, და გულით ავადმყოფებსაც სამკურნალოდ მოსული ვიდრე მკურნალობას შეუდგებოდეს და აბაზანებს მიიღებდეს, საჭირო რჩევა-დარიგებისათვის უნდა მივიდეს ექიმთან, ამის შემდეგ, ის ჩადის ექიმის მიერ დანიშნულ აბანოში და რჩება შიგ 15—20 წუთი. ხშირია შემთხვევა, როცა ყავარჯნებით მოსული ავადმყოფი 7—8 აბაზანის მიღების შემდეგ, განკურნებულა და ყავარჯნები გადაუყრია. ახლანდელ წყალტუბოს, როგორც წინად, უმთავრესად ისევ გლეხობა ეტანება. ხოლო მას შემდეგ, რაც სოც. დაზღვევის სალაროამ დასასვენებელი სახლი ააშენა, იგი ბევრ მუშებს გზავნის აქ სამკურნალოდ; ამნაირად, წყალტუბო უმთავრესად ამ ჟამად ემსახურება — მშრომელ გლეხებს და მუშებს.

იმ ხუთი აბანოს გარდა, რომლითაც ახლა ავადმყოფები სარგებლობენ, არის კიდევ ერთი მოუწყობელი აბანო. ამ აბანოს დიდი სახელი აქვს განთქმული. დებიტი მისი წყლისა უდრის 350 ვედროს. იგა ღრმაა და განიერი. ძირში მას აქვს ტალახი, რომელიც სხვა სამკურნალო ტალახების თვისებისაა. სწორედ ამ აბანოდან გავრცელდა წყალტუბოს წყლების სამკურნალო თვისება. მალე მას შეაკეთებენ და წყალტუბოს კიდევ მიემატება ერთი დიდი აბანო.

წყალტუბო მომავალში

წყალტუბო მსოფლიო მნიშვნელობის კურორტია. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა წყალტუბოს მშენებლობის გეგმა შესრულდება, ამ კურორტზე სამკურნალოდ ივლის არა მარტო ს.ს.რ. კავშირის ავადმყოფები, არამედ მთელი ევროპა. ამ ჟამად აქ მუშაობს „წყალტუბმშენი“. შემუშავებულ გეგმის თანახმად, ამოშრობილ იქნება ის ჭაობიანი ადგილი, წყალტუბოს აკრავს ჩასავლეთის მხრივ. ამისათვის ის მდინარე, რომელიც ეხლა აბანოებს გვერდით ჩაუვლის, გადაყვანილი იქნება სხვა არხში. მოკლე ხანში ავადმყოფებისათვის აქ გაშენდება ოთხი დიდი მოცულობის ახალი სახლი. ქუთაისიდან გამოვა ელექტრომავალი.

წყალტუბოს მომავალი დიდია. უკვე მესმის ელექტრომავალის შრიალი და მისი ქროლვა პატარა გორაკებზე. მოდიან უამრავი მგზავრები — ავადმყოფები. ყველა ეროვნების მუშები და მშრომელი გლეხები. აქ არიან სსრ. კავშირის ყოველი კუთხიდან, არიან უცხოელები — გერმანელები, ფრანგები, ინგლისელები, იტალიელები და სხვა და სხვა. გაისმის —

— „გენოსე“, „კამერად“, „ტოვარიშჩ“, „დაიოშ წყალტუბო!“.

სამკურნალო წყლების გარდა, წყალტუბოს მიდამოც შესანიშნავი და ლამაზი აქვს. მომავალი ელექტრომავალი მარტო წყალტუბოს აბანოების გარშემო კი არ ივლის! ის გავა მის მიდამოებშიაც და უპირველესად იმ სტალაქტიტურ გამოქვაბულისაკენ, ორი კილომეტრით რომაა დაშორებული მისგან. ეს სტალაქტიტურ-სტალაგმიტური გამოქვაბული ამ ჟამად ფრიად უყურადღებოდაა მიტოვებული, ხოლო მალე აქ გაიყვანენ ელექტრონს სინათლეს და როცა გამოქვაბული სხვადასხვა ფერადი ელექტრონს შუქებით განათდება, მხოლოდ მაშინ გაიგებენ მის სილამაზეს და დიადობას! მაშინ არც ერთი სამკურნალოდ მოსული არ დარჩება ისე, რომ არ იხილოს ბუნების ეს ბუმბერაზი სილამაზე. ამას გარდა, მიდამოებში მრავლადაა გაფანტული ბუნების საკვირველებანი — კლდიდან მოვარდნილი მდინარე, მთის ძირში ვარდნილი წყარო, მიწის-ქვეშა თხრილები, ნაპრალები, ძაბრები და სხვა. ამნაირად, მომავალი ინტერნაციონალური, **სოციალისტური კურორტი** წყალტუბო — უსათუოდ წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის სიამაყეს და **კურორტთა კურორტს.**

წყალტუბო მიმზიდველია, თუ ერთხელ მოხვედი აქ, ის ყოველ წელს გეძახის, გიხმობს და ვერ მოისვენებ, რომ დანიშნულ დროს კვლავ არ ეწვიო მას. ერთხელ მის აბაზანებში განბანილს, ყოველ შემოდგომაზე გინდა გაეხვიო მის ალერსიან, ხავერდივით ლბილ ტალღებში, გინდა გაწვე იმ წყაროში, საიდანაც ამოსვლა აღარ გინდა. გინდა დიდ ხანს განბანო და განაბო ბუტბუტით ამოვარდნილ წყაროს წყლებში, სხეულზე რომ კრიალოსნად გეხვევა, გათბობს, გეალერსება.

აქამდის წყალტუბოს წყლებით მხოლოდ ზაფხულობით სარგებლობდენ, ეხლა კი მთელი წლის განმავლობაში შეიძლება მით სარგებლობა და მისი წყლებიც მუდამ თბილია და ალერსიანი.

---

*) იხილე ხასკინის წიგნაკი —„კურორტი წყალტუბო“.

მეტი ყურადღება საბავშო მწერლობას

საბავშო ლიტერატურა მნიშვნელოვანი ფაქტორია კომუნისტურ აღზრდისათვის. ამიტომ იგი მეტად დიდ ყურადღებას, დაკვირვებას და შესწავლას მოითხოვს. სახელგამის საბავშვო-საყმაწვილო სექციას უსათუოდ მიუძღვის დანაშაული, რომ მან თავის მუშაობაში ვერ ჩაითრია მწერლების, მხატვრების და ვერც პედაგოგების ძირითადი კადრები.

არის მთელი რიგი საკითხისა, რომლებზედაც არც ერთი საბავშვო წიგნი არ მოგვეპოვება. ავიღოთ თუნდაც: მხარეთმცოდნეობა, ტექნიკა, გამომგონებლობა, ცხოველთა და მცენარეთა სამეფო, ბიოგრაფიები გამოჩენილ რევოლიუციონერებისა, მოგზაურობანი.

ჩვენს ბავშვს მოთხოვნილებად გარდაექცათ ისეთი წიგნის კითხვა, რომელიც მათ მოუწოდებს ბრძოლისაკენ, გამარჯვებისაკენ, ვაჟკაცობისაკენ, და თუნდაც ისეთ ფანტასტიკისაკენ, რომელიც ტექნიკის და მეცნიერების, რეალური შესაძლებლობაზე იქნება დამყნილი.

ასეთი მოთხოვნილება ერთეულების სურვილი კი არ არის, არამედ მასობრივ მოვლენად გადაიქცა. ეს ფაქტი საუკეთესოდ დაადასტურა კოსარევმაც. საკ. ა.ლ.კ.კ მე-7 კონფერენციაზე მან სთქვა: „ძველად ეკითხავიენ ბავშვს: „ვინ გინდა იყო?“ ბავში ჩვეულებრივ უპასუხებდა: „მინდა მდიდარი ვიყო“. ავიღოთ თანამედროვე ბავშვი. ჰკითხეთ მას: „რა უნდა გამოხვიდე“? და ის გიპასუხებს: „მინდა ვიყო ინჟინერი, ტექნიკოსი, კომკავშირელი, სტალინი“. ეს მეტად დამაფიქრებელი მოვლენაა და მართალი არის კრუპსკაია, რომელიც ყოველთვის მოითხოვს ბავშვის წიგნისადმი ინტერესის შესწავლას, მის მოთხოვნილებისათვის ანგარიშის გაწევას.

საბავშო ლიტერატურის ჩამორჩენა აიძულებს ბავშვებს იკითხონ მხოლოდ კლასიკოსები, „რობინზონ კრუზო“, „ბიძია თომას ქოხი“, „გულივერის მოგზაურობა“ და სხვ.

ახალი წიგნებისადმი ბავშვების გულგრილობა იმით კი არ აიხსნება, თითქოს ახალი თემატიკა არ აინტერესებთ. პირიქით, ძალიანაც უნდათ, ძალიანაც აინტერესებთ, ძალიანაც თხოულობენ, მაგრამ არა გვაქვს საინტერესოდ დაწერილი წიგნები: ალმშენებლობაზე, კოლექტივიზაციაზე. **ამავე დროს საქ.-საბავშვო სექციაც არ იცავდა ასაკობრივი სპეციფიურობას, რაც საბავშვო ლიტერატურისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს**

კრუპსკაიამ რუსეთის საბავშვო წიგნის კონფერენციაზე ხაზი გაუსვა საბავშვო მწერლის ამოცანას: „როდესაც ბავშვისათვის წერ, უნდა ღრმად დაფიქრდე თვითეულ სიტყვაზე და თვითეულ პრობლემაზე. საბავშვო წიგნის დაწერა მეტად საპასუხისმგებლო და ძნელი საქმეა. როდესაც საბავშვო მწერალი მოელენებს, მოქმედ პირებს იძლევა დაუმუშავებლად, ზერელედ, ასეთი წიგნი ძალზე ცუდი გამოდის“.

უკანასკნელი თვეების განმავლობაში საბავშო ლიტ-რის საკითხებმა მიიპყრო როგორც პარტიული ორგანოების, ისე განსახკომის ყურადღება.

საქ. კ. პ. (ბ) ტფ. კომიტეტმა მოიწვია თათბირი საბავშვო ჟურნალების და წიგნების შესახებ, განსახკომმა კი საქალაქო პირველი კონფერენცია საქ. საბავშვო წიგნის შესახებ. ეს უკვე იმის მაჩვენებელია, რომ საბავშვო ლიტ-რა თავს დააღწევს არსებულ ნაკლისაგან.

აი სწორედ ამ თათბირის და კონფერენციის დადგენილებები გვაიძულებს შევცვალოთ სახელგამის საბავშვო-საყმაწვ. სექციის მუშაობის მეთოდები. პირველ ყოვლისა უნდა მოხდეს საბავშვო მწერლების და მხატვრების მობილიზაცია საბავშვო სექციის გარშემო. მეორეს მხრივ საბავშვო სექციამ უფრო მეტი ენერგიით უნდა იბრძოლოს საბავშვო წიგნის მხატვრული გაუმჯობესებისათვის. ამაში, უდაოა, სექციას დიდი დახმარება უნდა გაუწიონ თვით მწერლებმა და მხატვრებმა. ეს შესაძლებელი გახდება იმ პირობებში, თუ საბავშვო მწერალი გააუმჯობესებს თავის მხატვრულ შემოქმედების თვისებას და ამ დარგს მოელი თავისი სერიოზულობით დააფასებს.

ა. ლ—შვილი.

ლიტწრეების ხელმძღვანელთა თათბირი

21 ნოემბერს შესდგა ლიტწრეების ხელმძღვანელთა თათბირი. ლიტწრეების შესახებ საინფორმაციო მოხსენება გააკეთა ამხ. გვეტაძემ.

პარტიის 23 აპრილის დადგენილებასთან დაკავშირებით და სათანადო უმაღლეს პროფორგანოების დადგენილებით ლიტწრეების ორგანიზაციული მხარეების მოგვარება და მათი უზრუნველყოფა საჭირო ოთახებით, ბინით და სხვ. ეკისრება პროფორგანიზაციებს. ძირითად პროფორგანოებმა აქტიური და უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღონ ლიტწრეების ორგანიზაციულად გამაგრებაში და მათთვის შესაფერი ნორმალური სამუშაო პირობების შექმნაში.

ამ მიზნით საბჭოთა მწერალთა კავშირის მასიურმა სექტორმა მჭიდრო კავშირი გაბა პროფსაბჭოს კულტსექტორთან. ძირითად პროფორგანოებს დაეგზავნათ სათანადო ინსტრუქცია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ არა აქვს თავიანთი მოვალეობა შეგნებული ლიტწრეების ჩამოყალიბებაში, როგორც ძირითად, ისე ზემდგომ პროფორგანიზაციებს. სათანადო კავშირებს ჯერ სრულებით არაფერი გაუკეთებიათ ამ მხრივ. კულტსექტორის ინსტრუქცია არ კმარა მარტო, საჭიროა ყველა პროფორგანიზაციებმა ახლო და მხურვალე მონაწილეობა მიიღონ ამ საქმეში და თავიანთ გადაუდებელ ამოცანათ დაისახონ ის. ლიტწრეების ხელმძღვანელებათ გამოყოფილ მწერლებს სრულებით არავითარ დახმარებას არ უწევენ მუშათა კლუბების და ძირითად პროფორგანოების მუშაკები. ამ გარემოებამ დღემდე შეუძლებელი გახადა ლიტწრეების განზრახული რაოდენობით ჩამოყალიბება, და მათში მუშაობის გაჩაღება.

თათბირზე, აგრეთვე, გამოირკვა, რომ მრავალმა ხელმძღვანელმა ვერ გამოიჩინა უნარი და საჭირო მონდომება ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

წრეების უმრავლესობაში ჯერ ორგანიზაციული მუშაობაც არაა ჩატარებული. მარტო ერთად-ერთი წრეა ტრამვაის მუშათა კლუბთან, სადაც 1-ლ ნოემბრიდან დაიწყო ნორმალური მუშაობა. ამ წრის ხელმძღვანელია ამხ. **პ. ჩხიკვაძე.**

თათბირმა დაადგინა: დაევალოს წრეების ხელმძღვანელებს 25 ნოემბრამდე აუცილებლად ჩამოაყალიბონ წრეები და შეუდგენ მუშაობას. მასიურ სექტორს დაევალა საბოლოოდ მოაგვაროს პროფორგანოების ლიტწრეების მუშაობაში მონაწილეობის საკითხი. ამასთანავე გამომუშავებული იქნა კონკრეტული ღონისძიებები ლიტწრეებში მუშაობის გასაჩაღებლად.

გამოფენა რევოლიუციის მუზეუმში

რევოლიუციის მუზეუმმა მოაწყო მეტად საგულისხმო გამოფენა ძველ ბოლშევიკთა თაობის რევოლიუციური მოღვაწეობის აღსანიშნავად საქართველოში.

გამოფენის მთავარი ნაწილი მიძღვნილი აქვს ამხ. **სტალინის** რევოლიუციურ მოღვაწეობას საქართველოში 1909 წლამდე. აქ წარმოდგენილია უმდიდრესი მასალა ძველ სემინარელთა 1-ლი სოც. დემოკრატიული არალეგალური წრეების მუშაობის, მუშათა წრეების, პროპაგანდისტ-აგიტატორების და სხვ. მუშაობის შესახებ.

გამოფენაზე წარმოდგენილ მასალებში დაცულია ქრონოლოგიური სისწორე.

გამოფენაზე წარმოდგენილია აგრეთვე ამხ. **სტალინის** რამდენიმე გამოუქვეყნებელი ფოტოგრაფია და ჟანდარმთა სამმართველოს დოკუმენტები.

გამოფენის მეორე განყოფილებაში წარმოდგენილია მასალები, ფოტოგრაფიები, პრესა და სხვ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის შესახებ მენშევიზმის დროს. შემდეგი განყოფილება მიძღვნილი აქვს საბჭოთა სოციალისტურ მშენებლობის მიღწევებს საქართველოში, 1921 წლიდან დღემდე.

როტ-ფანე

საქ. სახკინმრეწვის პირველი ხმოვანი მოლაპარაკე ფილმი. სცენარი გ. მდივანის. რეჟ. ლეო ესაკია. მუს. ი. ტუსკია. ოპერატორი პოლიკევიჩი.

დნეპრის გიგანტის ამუშავებამ მსოფლიო რეკორდების ერა გახსნა პროლეტარული დიქტატურის ქვეყანაში. რა თქმა უნდა, ხელოვნების ნაწარმოების მასშტაბები და გამოძახილი ასეთი, პირველ ყოვლისა, რიცხვობრივი ეფექტით არ განიზომება, და ლოზუნგი ლიტერატურის მაგნიტომშენების შექმნის შესახებ გულისხმობს მწერლობის და საერთოდ ხელოვნების ერთად თავმოყრილ ღონისძიებათა და მონაპოვართა ჯამს. ამ მხრივ, კერძოდ, საბჭოთა ხმოვან კინო წარმოების დარგში, მიუხედავად არსებითი ნაკლისა მსოფლიო კინემატოგრაფიულ კულტურის დონეს მიაღწია ფილმმა „ახალ ცხოვრებისაკენ“. ოქტომბრის 15 წლისთავზე საბჭოთა კინემატოგრაფიის ერთ-ერთ უბანზე გვაქვს ისეთი მიღწევა, როგორიც საქართვ. სახკინმრეწვის მიერ პირველი ხმოვანი კინოს გამოშვება. ხმოვანი ფილმი მეტად რთული მოვლენაა და ხელოვნების თითქმის ყველა დარგის სინტეტიურ მუშაობას მოითხოვს. მაგრამ აქაც, როგორც ლიტერატურაში და თეატრში პირველობა (თუ გნებავთ, სიტყვის პირდაპირი გაგებით) ეკუთვნის სიტყვიერ მასალას, ე. ი. სცენარს. უნდა ითქვას, რომ „როტ-ფანე“-ს სცენარი ატარებს იმ რეცეპტებისადმი დამორჩილებას, რომელთა მიხედვით, პოლიტიკური ლოზუნგი თავის პუბლიცისტურ ტანისამოსში გადაქონდათ ამა თუ იმ ხელოვნების სფეროში და მაინცდამაინც თავს არ იწუხებდენ შესატყვის მხატვრულ ფორმაში მის გადათარგმნა-გამოვლინებისათვის. და მართლაც, მთელი შინაარსი ფილმისა თავიდანვე ცხადია მაყურებლისათვის, და საკითხი დაინტერესებისა იმ თავითვე მოხსნილია (როგორც ამბობს სურათის ერთ-ერთი მომქმედი პირი: „მომხსენებელი არ გამოცხადდა, მაგრამ საკითხი ისედაც ცხადია“-ო). ერთი სიტყვით სცენარის მხატვრული ღირსების შესახებ შეიძლება ითქვას ლენინის სიტყვებით, რომელიც მან სთქვა მაიაკოვსკის ერთ ლექსზე „პროზასედავშიესია“, სადაც ლაპარაკი იყო „სხდომობით“ გატაცებულ მუშაკების შესახებ: „ნა სჩეტ პოლიტიკი რუჩაიუს, ჩტო ვერნო, ზა ნასჩეტ პოეზიი, ნე ზნაიუ“-ო. გერმანელ კულაკების და საშუალო კოლონისტების და მოჯამაგირეების ანტაგონიზმი ნაჩვენებია მხოლოდ კოლმეურნეობის დაარსების გამო გამართულ კრების საშუალებით; მშრომელ თურქების და გერმანელების კავშირი საერთო ცეკვის ერთი ობოლი სცენითაა წარმოდგენილი; გერმანელთა კოლონის გარშემო მყოფი ინტერნაციონალური მშრომელი მოსახლეობა არ იგრძნობა სურათში. შაქირა უფრო კულაკის პიროვნების და ქონების დაქირავებული მცველია (ძველი „სტრაჟნიკების“ მზგავსი), და მისი გარდაქმნა არაა ტიპიური და დამაჯერებელი. მერმე კიდევ ისეთი მარტივი პიროვნებისათვის მეტისმეტია მისთვის მიკუთვნებული „ჰამლეტობა“, დაუბოლოვებელი ყოყმანი და... ბოლოს უეცარი 100 პროცენტით გარდაქმნა: შაქირა ხომ მშრომელის (თუნდაც წვრილი მესაკუთრე გლეხის) ტიპი არაა, იგი არა მწარმოებელი ფენიდანაა, ულირსი ლაქიური ფუნქციის მატარებელი. გამოდის, რომ შაქირამ „უღალატა“ მეგობარ - კულაკს, გაარღვია ინტიმურ - ოჯახური კავშირი და ამ ეთიური კონფლიქტის გადალახვით შეიქნა მშრომელი.

გ. მდივანი, ლ. ესაკია, ი. ტუსკია.

ნამდვილად კი კოლმეურნედ წვრილ მესაკუთრის გარდაქმნა ხდება სოციალური და არა ეთიური, კონფლიქტის გადალახვის ნიადაგზე. კულაკის და მისი ოჯახის სოციალური დეფორმაციაც უფრო საოთახო-ინტიმურ კუთხითაა ნაჩვენები: ორი ეპიზოდის პარალელიზმი და რომანსის „ჩერნიე გლაზა“-ს პაროდია ამისათვის მეტად მექანიკური ილიუსტრაციაა. შაქირას „ალსარების“ შემდეგ სიუჟეტურად ყველაფერი გათავებულია და შემდეგ სურათი მიდის „ვ ხოლოსტუ“. სათანადო ადგილი არა აქვს აგრეთვე, მიჩნეული ფილმში ღრუბლებისათვის მაშხალების სროლას და ვენახის მორწყვას.

რეჟისორ ლეო ესაკიას და ოპერატორ პოლიკევიჩს ფილმზე მუშაობა უნდა ჩავთვალოთ ოსტატობის ახალ დონეზე ასვლად. ადგილი აქვს მასალის გადამეტებულ ესთეტიზაციას, მაგრამ ეს ერთგვარ კომპენსაციას აძლევს მაყურებელს, რომელიც ნათელ, მზიან და ხალისიან კადრებზე ივიწყებს სქემის ცოდვებს. ამ ორი ოსტატის მიღწევას ემატება კომპ. იონა ტუსკიას მუსიკის კულტურული ხმოვანება (მშვენიერია, მაგ. პაწია ბავშვის გერმანული სიმღერა). მხოლოდ მუსიკის შესახებ ნებას მივსცემდით თავს მიგვეთითებია, რომ ეკლესიის ხორალი მეტად პრიმიტიულია და მისი ფინალი სავსებით ფარავს კოლმეურნეთა წითელი ქარავანის შრომის ჰიმნს. კარგია გახმოვანებაც (სალაპარაკო ნაწილი), სასურველია, რომ მისი ქართული ვარიანტიც ყოფილიყო გამოშვებული.

რომაული თქმის არ იყოს, უნდა ითქვას, რომ სახკინმრეწვმა ამ დარგში კარგად დაიწყო და კარგი დაწყება ნახევარი საქმის გაკეთებას უდრისო. „როტ-ფანე“ ყოველ შემთხვევაში ჩვენი ზრდის მაჩვენებელია, იგი უდავოთ კულტურული ექსპერიმენტია და ახალ გამარჯვების საწინდარი.

ა. ა.

სატირის თეატრი

ტფილისის სატირის თეატრი დრამატურგ **გ. ბუხნიკაშვილის** ხელმძღვანელობით განაგრძობს ზამთრის სეზონში მუშაობას ტფილისის მუშათა კლუბებში. თეატრის სარეპერტუარო გეგმა შემდეგია: **1) ჩინჩალაძის მოგზაურობა** — სატირიული მიმოხილვა, **2) „ენტუზიასტები?“** — სატირიული მიმოხილვა მ. გოგიაშვილის (თემა—პროფმუშაობის გარდაქმნა წარმოებაში), **3) „გადავხედოთ ისტორიას“.**, აგიტ-სატირიული მიმოხილვა გ. ბუხნიკაშვილის, (თემა—ოქტომბრის რევოლიუცია და შემდგომი ბრძოლა მის მონაპოვართა განსამტკიცებლად), **4) „ქამასი კილომეტრი“** — სატირიული მიმოხილვა ია ქანთარიასი (თემა — რკ. გზის ტრანსპორტის გაუმჯობესება), **5) „ყვარყვარე თუთაბერი“** — კომედია 4 მოქ. პ. კაკაბაძის, 6) **„თავდაცვისათვის“** — ავტორი კოლექტივი (თემა—სამხედრო მომზადება და თავდაცვა), **7) „ტარტიუფი“** — მოლიერის, **8) ესტრადის საღამო.** პირველი სამი დადგმა უკვე განხორციელებულია. ამჟამად მზადდება „ყვარყვარე თუთაბერი“ (დადგმა გ. რობაქიძის, მხატვარი დ. კაკაბაძე, მუსიკა ა. ბალანჩივაძისა). გარდა ზემოხსენებული ავტორებისა, თეატრში ესტრადებზე და კოლექტიურ პიესებზე იმუშავებენ შემდეგი მწერლები: პ. სამსონიძე, მარიჯან, ი. გრიშაშვილი ა იასალი, ს. ერთაწმინდელი, ს. ფაშალიშვილი, ა. მაშაშვილი, ა. კაჭკაჭიშვილი, ს. მთვარაძე, ნ. ფხალაძე. მხატვრები: ი. გამრეკელი, დ. კაკაბაძე, გ. შარბაბჩიანი, პ. ოცხელი, რ. მირზაშვილი. კომპოზიტორები: ა. ბალანჩივაძე, ი. გოკიელი, რ. გოგნიაშვილი. დადგმები რეჟისორ **გ. რობაქიძის, გ. ხელაიას, პ. გოძიაშვილის.** რეჟისორის თანაშემწე ქ. რამიშვილი. დასის შემადგენლობა: ბ. ანდრონიკაშვილი, მ. გულაშვილი, ა. ეღიკაშვილი, ა. ვარდიძე, დ. ვაშაკიძე, მ. ინგილო, ვ. კალანდაძე, ა. კაჭკაჭიშვილი, დ. კაკაბაძე, ფ. კოპლატაძე, ვ. ლეჟავა, ა. სარუმოვი, ა. რამიშვილი, ქ. რამიშვილი, ვ. ხიზანიშვილი, შ. ქარცივაძე გ. შახნაზარი, რ. რაისელი, ი. ენაგელი.

სვანეთის შესახებ

ოქტომბრის რევოლიუციის მე-15 წლისთავის ზეიმის აღსანიშნავად საქართველოს მუზეუმის ახალ შენობაში იხსნება სვანეთის ეთნოგრაფიული გამოფენა. აღნიშნული გამოფენისათვის საჭირო ექსპონატები, დოკუმენტები და მასალები შეგროვილ იქნა 1931 წელს სვანეთში სპეციალურად გაგზავნილი ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიერ.

აღნიშნული გამოფენა მუდმივი ხასიათის იქნება და იგი უდიდეს ინტერესს წარმოადგენს სვანეთის შესწავლისათვის იმ მხრივ, რომ მასში მოცემულია ძველი საგვაროვნო სვანეთის ყოფა-ცხოვრების, კულტის, რელიგიის და სოციალური მდგომარეობის სურათი.

გამოფენაზე განსაკუთრებით მდიდრადაა წარმოდგენილი ძველი სვანების ყოფა-ცხოვრება და რელიგია. ძველი სვანის ოჯახი, სვანების სალოცავები, ქვის კულტი.

ძველ სვანეთთან პარალელურად გამოფენაზე წარმოდგენილია ახალი სვანეთი. ცალკე კუთხეები აქვს დათმობილი საბჭოთა სოციალისტურ მშენებლობას. ამ კუთხეში მოცემულია სხვადასხვა კომპლექსები —ჯვარი-მესტიის გზატკეცილის გასაყვანი სამუშაოები, სვანეთის ხე-ტყის მრეწველობა, მაგანის ხიდის მშენებლობა, რომელიც თავისი ტექნიკური კონსტრუქციის სიახლით პირველია მთელ საბჭოთა კავშირში, საკოლმეურნეო მშენებლობა და სხვ.

ცალკე კუთხე აქვს დათმობილი სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობას. კერძოდ სახალხო განათლების საქმის განვითარების დამახასიათებელი ექსპონატები და დიაგრამები იძლევიან სვანეთის აღორძინების საყურადღებო სურათს.

გამოფენაზე მოცემულია აგრეთვე საკურორტო მშენებლობის და ნებაყოფლობითი საზოგადოების მუშაობის სურათი.

სვანეთის შემსწავლელთათვის გამოფენა იძლევა თითქმის ყველა საჭირო მასალას, როგორც ძველი საგვაროვნო სვანეთის, ისე ახალი, საბჭოთა სვანეთის შესახებ.

გამოფენის მოწყობას ხელმძღვანელობს 1931 წელს სვანეთში გაგზავნილი ეთნოგრაფიული ექსპედიციის ხელმძღვანელი ამხ. გ. ჩიტაია.

ღია წერილი

განათლების სახალხო კომისარიატის მთავარ სახელოვნო კომიტეტს

საქ. ცეკავშირმა 1929 წელს საფუძველი ჩაუყარა მუდმივ პროფესიონალურ მოძრავ სასოფლო თეატრების არსებობას. ჩვენს წილად გვხდა ამ თეატრების მოწყობა და ხელმძღვანელობა. პირველ ხანებში პატარა მასშტაბით დაწყებული საქმე თანდათანობით განვითარდა და 1930-31 წელს უკვე არსებობდა ორი საკმაოდ ძლიერი მუდმივი თეატრი და მოწყობილი იქნა აგრეთვე დროებითი ჯგუფები მეგრულ, ოსურ, სომხურ და თათრულ ენებზე. თეატრების დადგმები ნახა ასეულ ათას მაყურებელმა კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში. არ დარჩენილა საქართველოში არც ერთი რაიონი, სადაც თეატრებს არ ემოგზაურნათ. ერთ-ერთი ჯგუფი გაემგზავრა ფშავ-ხევსურეთშიც-კი და ჩაატარა იქ წარმოდგენები, მიუხედავად მრავალი ტეხნიკური დაბრკოლებებისა (ტრანსპორტ და სხვ.) ამ ჯგუფთან ერთად გაემგზავრა ექიმები, კულტ-მუშაკები, მწერლები. ჯგუფმა დიდი კულტურული მუშაობა ჩაატარა და ექსპედიციის ერთ-ერთი წევრის პროლეტარულ მწერალ ამხ. ნაროუშვილის ინიციატივით ორმოცი ხევსური ახალგაზრდა იქნა ჩამოყვანილი ტფილისში სასწავლებლად.

საჭიროა აღინიშნოს, რომ თეატრების მუშაობას თან ახლდა დეფექტებიც. ზოგჯერ სათანადო სიმაღლეზე ვერ იდგა დადგმების მხატვრული ღირსება და სხვ. დეფექტები მოსალოდნელი იყო, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ სპეციფიურ პირობებს, რომელშიც თეატრებს უხდებოდათ მუშაობა (მუდმივად მოგზაურობა, ცენტრიდან მოწყვეტა). საერთოდ—კი თეატრებმა დიდი სამსახური უწიეს ჩვენს პარტიას და ხელისუფლებას სოფლის მეურნეობის განვითარების მორიგი ამოცანების აგიტაციის საქმეში. თეატრები თავისი შინაარსით კონკრეტიულ აგიტაციას ეწეოდნენ ამა თუ იმ ღონისძიებების სასარგებლოდ, რომელიც გატარებული იყო სოფლად (კოლმეურნეობათა განმტკიცება, თესვის კამპანიები, აგრო - პროპაგანდა, ანტირელიგიური პროპაგანდა; ცხოვრების საკითხები, სამხედრო პროპაგანდა და სხვ.).

ზედმეტია განმარტება თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთ თეატრების არსებობას და რა სამსახური შეუძლიათ გაუწიონ მათ სოფლის მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციას. ცეკავშირის განსახკომის ხელოვნების სექტორის და პირადად ჩვენ მრავალი ოფიციალური დოკუმენტები მოგვეპოვება, რომლებიც ნათელყოფენ თეატრების დადებით მუშაობას.

დიდი დამსახურება მიუძღვით საქ. ცეკავშირის **იმ დროინდელ ხელმძღვანელებს** და მუშაკებს (ამხ. ტოროშელიძე, ვ. ბოლქვაძე, ნ. ამირაღოვი, გოგებაშვილი, ესაკია) რომ ფართო გასაქანი მისცეს ამ დიდ საქმეს და შექმნეს ერთგვარი ტრადიცია მოძრავი მცირე ფორმის თეატრების არსებობის, ასეთ თეატრებისათვის რეპერტუარის შექმნის, კადრების შერჩევის და სხვ. განსაკუთრებით ნაც. უმცირესობათა რაიონებისათვის. აღსანიშნავია, რომ ამჟამად არსებულ ოსეთის სახ. თეატრს ქ. სტალინირში საფუძველი ჩაეყარა (ცეკავშირისა მიერ [illegible]) ლთა თეატრულ ოსურ ჯგუფებზე დაყრდნობით.

1931 წლის დამლევს ცეკავშირის რეორგანიზაციის გამო თეატრები მთელი ბინებით და დარჩენილი თანხებით გადაეცა განსახკომის უწყებას (ჯერ „სამაროს“ და მისი რეორგანიზაციის შემდეგ უშუალოდ განსახკომის ხელოვნების სექტორს).

პირადი ჩვენი მუშაობა, უკეთ რომ ვსთქვათ ბრძოლა ამ თეატრების არსებობისათვის უკვე უნაყოფო შეიქნა, რადგან სხვადასხვა „ობიექტიურ“ მიზეზების გამო ამ თეატრების უკანასკნელი ჯგუფი დაიშალა მიმდინარე წლის აგვისტოში, უშუალოდ განსახკომის ხელოვნების სექტორში გადაცემის შემდეგ. დაიფანტა კადრები, აღარ არის თანხები თეატრების არსებობისათვის. ამრიგად შესწყდა მუშაობა ფრიად დიდ მნიშვნელოვან თეატრალურ დარგში.

ჩვენ ვთხოვთ განათლების სახალხო კომისარიატს გვიპასუხოს:

1) ვეთანხმება თუ არა იმაში, რომ მცირე ფორმის მოძრავი თეატრი ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა მხატვრული აგიტაციის.

2) რატომ არ იქნა მიღებული სათანადო ზომები, რომ არ გაუქმებულიყო თეატრების უკანასკნელი ერთი ჯგუფი მაინც.

3) რას აპირობს განათლების სახალხო კომისარიატი მომავალში ამ საქმის განახლებისათვის.

გ. ბუხნიკაშვილი

ლიტქრონიკა

მხატვარ მარადაშვილის სურათების გამოფენა

ახლო ხანში თბილისში მოეწყობა მხატვარ მარადაშვილის სურათების გამოფენა. საქ. ცაკმა დაავალა განათლების კომისარიატს დახმარება გაუწიოს ახალგაზრდა მხატვარს, როგორც გამოფენის მოწყობაში, ისე შემდგომ მუშაობაში.

„დაისი“-ს ახალი დადგმა

15 დეკემბერს ოპერის თეატრში, პირველად ამ სეზონში და ახალი დადგმით მიდის ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი“. ოპერას დგამს რეჟ. ალ. წუწუნავა, მხატვარი სოლ. ვირსალაძე. დირიჟორი ივ. ფალიაშვილი.

დაჯილდოვება

ოქტომბრის რევოლიუციის 15 წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით ტფილისის სახელმწიფო ცირკის მიერ მთელ რიგ ცირკის მომუშავეთა დაჯილდოვებასთან ერთად მიენიჭა ჯილდო დრამატურგ გ. ბუხნიკაშვილს (დამკვრელის საათი ნიშანი და სიგელი) ცირკის ხელოვნებაში აქტიურ შემოქმედებითი მუშაობისათვის.

„მნათობი“ № 7

პაოლო იაშვილი—ლირიკული ზაფხული საქართველოში (ლექსები).
გიორგი ლეონიძე—პოეტის შენიშვნები, თავები პოემიდან.
ნიკოლოზ მიწიშვილი—უსახელო. ტრაქტატი ოქტავებით.
გ. ქუჩიშვილი—საბჭოთა სოფელი მთათა დაპყრობა.
ირაკლი აბაშიძე—ოდიშის პლანტაციები.
როდიონ ქორქია—გრიგალი (მოთხრობა).
კონსტ. გამსახურდია—გოეთეს ცხოვრების რომანი.
პანტ. ჩხიკვაძე—ნაბიჯები.
მიხ. ჯავახიშვილი—არსენა მარაბდელი
ლ. ასათიანი—ბერანჟე ქართულ ლიტერატურაში.
აკაკი—ქმრის გოდება ბერანჟედან (ლექსი).
ირ. ევდოშვილი—დეპუტატის ანგარიში. ბერანჟედან (ლექსი).
ვ. გაფრინდაშვილი—უგნური. ბერანჟედან (ლექსი).
თ—ლი და მ-ძე—ახალი ეტაპისათვის თეატრალურ ფრონტზე.
ბარონ ბიბინეიშვილი—კამო.
ბიბლიოგრაფია—დანიელ ჭონქაძის—„სურამის ციხე“.

სარედაქციო კოლეგია:
დ. დემეტრაძე (პ. მგ. რედაქტორი) რ. გვეტაძე (რედაქ. მდივანი), შ. დუდუჩავა, ს. თალაკვაძე, ნ მიწიშვილი, ლ. ქიაჩელი, ნ. ზომლეთელი, ბეს. ჟღენტი.

გამომცემლობა „ფედერაცია“
ტირაჟი 4000.
მთავლიტი 2417.
სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68.